ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 3 (1377) 19-25 თებერვალი, 1994 წ.

ეკონომიკა

მთავრობამ თითიც კი არ გაანძრია კუპონის გამყარებისთვის

ჩვენს გაზეთში არაერთხელ შევხებივართ ქართული ფულის (სუროგატის) — კუპონის განმტკიცების საკითხებს და თითქმის ყოველთვის იმ დასკვნამდე მივსულვართ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ვილაცეებს არ აძლევს ხელს კუპონის გამყარება და რუსეთისკენ მაცქერალ ჩინოვნიკებს უფრო რუსული ვალუტა ურჩევნიათ მშობლიურს-თქო.

რაც კუპონი იქნა შემოღებული, მას შემდეგ სულ მის გამყარება-გამაგრებაზეა საუბარი სხვადასხვა სამთავრობო შეკრებებზე, პარლამენტშიც, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, კუპონი კი სულს ლაფავს და მასთან ერთად ჩვენც, ამ გაუფასურებული ვალუტის პატრონნიც. თუმცა საზოგადოების ერთმა, „რჩეულმა“ ნაწილმა სწორედ კუპონის საშუალებით იშოვა საშოვარი და ბანკიდან უხვად გამოტანილი კუპონით იმდენი ფული აკეთა, რომ დღეს საქართველო ვიწროდ ეჩვენება და საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიისა თუ ამერიკის ფეშენებლური ქალაქებისკენ უჭირავს თვალი და იმას კი არად დაგიდევთ, რომ ხელისუფალთა წაყრუებითა და ეროვნული ბანკის „ჭკვიანური“ საკრედიტო პოლიტიკის წყალობით თვითონ კი გაივსეს ჯიბე, მაგრამ ქვეყანა გაალატაკეს, ხალხი გაამათხოვრეს და იმ დონემდე მიგვიყვანეს, რომ ბევრ ჩვენთაგანს საკუთარი თავისა და ქვეყნის ხსნა სწორედ იქ ეგულება და სწორედ იქით იყურება, საიდანაც ამოდის მზე ზოგ-ზოგთათვის და რომელსაც იმპერიის, ოკუპანტის, აგრესორისა თუ ამაზე უარესი ეპითეტებითაც კი ვამკობდით სულაც ამ ერთი წლის უკან.

ეს ბუნებრივია, კათსუოად, უმიზნოდ არ გაკეთებულა. აქ თვით იმ დიდი მეზობლის ხელიც რომ ურევია, ეს აშკარაა, მაგრამ დასანანი ის არის,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ბანკი

„რა არის ეს — პოლიტიკური ავანტიურა, ეკონომიკური დივერსია, დილეტანტიზმი თუ ულუფებად ყველაფერი ერთად?!“

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის ინტერვიუ, რომელიც გაზეთ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულა, სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში და ბუნებრივია, უფრო ამ კაცის გარშემო ატეხილი დიდი აჟიოტაჟის გამო გადავწყვიტე წამეკითხა, ოღონდ ამჟამად უკვე გულდასმით, რადგან მეგონა, რომ თუ გამომძიებლები არ აწუხებენ ხშირად, ახლა მაინც არის დასვენებული, განსჯისა და ფიქრის, კლასიკური ეკონომიკური ლიტერატურის გაცნობის დრო ექნებოდა (მანამდე ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა ნაკლებად ექნებოდა „სოციალისტური მეურნეობის“ თანამდებობებზე დანიშვნა-გადასვლა-გადაყვანის და სხვა გარემოებათა გამო) და იქნებ მისი ნამოქმედარის ინტერპრეტაციის ასეთ ვარიან- მაგრამ იმედი გამიცრუვდა. იმან, რაც წავიკითხე, აღმაშფოთა და ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, პროფესიონალ ეკონომისტს შევჩივლე, ბიჭო ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ შენ მაინც მითხარი, ეს დვალიშვილი ავანტურისტია, უცოდინარია თუ ყველაფერი ერთად. ეს სიტყვები რომ ვიხმარე, შემთხვევითი არ იყო, იმიტომ, რომ პროფესიონალები მის მიერ ჩატარებულ ე. წ. „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკას“ დასაბუთებულად და არგუმენტირებულად რომ აკრიტიკებდნენ, ბატონი დვალიშვილი ტელევიზიის საშუალებით სრულიად საქართველოს გასაგონად აცხადებდა — მე უნდა გადავარჩინო საქართველოს მოსახლეობა შიმშილისაგან, ავალორძინო მთელი საქართველო და ამიტომ, ვინც არ უნდა მომკითხოს, შიდა საკრედიტო ექსპანსიას მაინც დავუშვებო. ე. წ. „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის“ განხორციელების პოლიტიკა განსაკუთრებული მონდომებით რომ დაიცვა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ, მაშინ ვიფიქრე ჩვენს ეკონომისტებს როგორც ჩანს ეშლებათ რაღაც მეთქი, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ სულ გამერკვია ამ საქმის ზოგიერთი ძირითადი ასპექტი მაინც და ჩემი მკითხველისთვის მიმეწოდებინა მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, დასკვნები და შეფასებები გამეკეთებინა დიდი სიფრთხილით, მხოლოდ ავტორიტეტულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ელჩი თურქეთში

ახლახან თურქეთში ელჩად დაინიშნა ნოდარ კომახიძე...

კარგა ხანია დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ეს პოსტი საქართველოს რესპუბლიკის მეთაურმა შესთავაზა ყოფილ ვიცე-პრემიერს ბატონ რომან გოცირიძეს. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ დანიშვნისათვის კომენტარი გაეკეთებინა ბატონ რომანს, რითაც ალბათ ყველაფერი გახდება ნათელი.

— ბატონო რომან, როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი, თქვენ შემოგთავაზეს ამ რამდენიმე თვის წინათ თურქეთში ელჩად წასვლა. რამ გამოიწვია თქვენი უარი და კომენტარს თუ გაუკეთებდით თურქეთის ელჩის ამასწინანდელ დანიშვნას;

— ელჩი, მოგეხსენებათ, არის სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი საზღვარგარეთ და ბუნებრივია, იგი უნდა იყოს ხელისუფლების კურსის ერთგული, მისი გამტარებელი და პროპაგანდისტი. მე მაშინ, როცა ეს პოსტი შემომთავაზეს და არც ამჟამად, ვერ ვიქნებოდი იმ პოლიტიკის გამტარებელი, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მე ვერ გავიზიარებ ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას (მის შესაძლებლივ ყველა ასპექტში, განსაკუთრებით კი ფულად-საკრედიტო და საფინანსო სფეროში), ვერ გავიზიარებ მის საგარეო პოლიტიკას იმ ნაწილში, რომელიც ტარდებოდა და ტარდება რუსეთთან მიმართებაში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობაში სრულ ფიასკოს. ვერც ქვეყნის საშინაო კურსს დავუჭერ მხარს, დაწყებული საკადრო პოლიტიკით, დამთავრებული დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და საბაზრო სისტემის დაფუძნების გაჭიანურებით. მოკლედ, ჩემი მხრიდან უაზრობა იქნებოდა ამ დანიშვნის მიღება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეულ პერიოდში ამ კუთხით მუშაობა ჩემთვის იქნებოდა კარგი პრაქტიკა. მაგრამ მიმაჩნია, რომ პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, როგორც ზოგჯერ იტყვიან ხოლმე. პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ზნეობრივ საფუძვლებს. აქ ორმაგი სტანდარტით მოქმედება უნამუსობაა (ფიქრობდე ერთს, — ემსახურებოდე მეორეს).

— იმასაც ამბობენ, რომ პოლიტიკა არის კომპრომისების ხელოვნება.

— სავსებით სწორია: უკომპრომისობა არის სიჯიუტე და სწორხაზოვნება. კომპრომისი აუცილებელია, მაგრამ არა სინდისთან.

— რას იტყოდით ახალ ელჩზე?

— როდესაც სახელმწიფო მეთაურთან მაშინ გვქონდა ამ თემაზე საუბარი, ახლახან დანიშნული ელჩი მისი მხრიდან ფიგურირებდა, როგორც ერთ-ერთი სავარაუდო მოადგილე. ასე რომ, მისი დანიშვნა შემთხვევითი არ არის.

შალვა ხიდაშელი

სტალინის კიდევ ერთი აპოლოგია და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები

გასული წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულია გრიგოლ ონიანის წერილი „როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც“, რომელშიც მკითხველი ამოიკითხავს სტალინის წრეგადასულ აპოლოგიას. ეს პუბლიკაცია კითხვა-პასუხის ფორმით არის გამოქვეყნებული და მისი ერთი ფრაზაც საკმარისია შეფასებისათვის: „როგორც ღმერთს, ისე სტალინს არ აქვს დანაშაული. მაგალითი დამისახელეთ!“

ბ-ნი გრიგოლ ონიანი თუ აქამდე „საერთაშორისო საზოგადოების „სტალინის“ თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებოდა, მას, სხვა სტალინელებთან ერთად (მისი სიტყვით — „ჩვენ სტალინელებმა“) ახლა „საქართველოს სტალინური პარტია ჩამოუყალიბებიათ“ და პარტიების „ასტრონომიული რაოდენობა“ ჩვენში კიდევ უფრო გაუზრდიათ.

ცოტა არ იყოს გაუგებარია პუბლიკაციის დასაწყისშივე გამოთქმული მოსაზრება, რომ სტალინის საზოგადოებისა და პარტიის ღონისძიებათა განხორციელება ხდება „მხოლოდ სტალინის სახელის უკვდავყოფისათვის“ და ... არა მისი „იდეებისა და მართვის მექანიზმების პროპაგანდისათვის“. გაუგებარია — რაღას უნდა ემყარებოდეს ეს დაუოკებელი და დაჟინებული ცდები ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების და პოლიტიკური მოღვაწის, ამ შემთხვევაში სტალინის „სახელის უკვდავყოფისა“, თუ არა მისი იდეებისა და „მართვის მექანიზების“ გათვალისწინებას!

მით უმეტეს, რომ, როგორც ქვევით დავინახავთ, ბ-ნი გრ. ონიანი დიდი სიამოვნებით აღადგენდა სტალინური „მართვის მექანიზმების“ ისეთ შემადგენელ ნაწილსაც კი, როგორიც იყო სტალინის დროინდელი და ამავე დროს — საშინელი, აუტანელი და არაადამიანური „რეპრესიების“ აპარატი იყო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ არსებობს საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ ფართოდ მოფიქრებული გეგმები, მათი განხორციელების ზუსტად ჩამოყალიბებული საშუალებანი და მიზნად დაუსახავთ „სტალინური ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დაარსება; სტალინზე შექმნილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეგულარული ჩვენება. პირდებიან მკითხველს, რომ მიიღებენ მონაწილეობას მომავალ არჩევნებში და მათი მოწოდება იქნება — „სტალინური დისციპლინა, სტალინური სოციალური სამართლიანობა სტალინური ინტერნაციონალიზმი“.

გასაგებია, რომ თუ ვინმეს აღეძვრის სტალინზე წერის და ლაპარაკის იმდენად ძლიერი სურვილი, რომ ფსიქოლოგიურად შეუძლებელი გახდება ამ სურვილის დაძლ[illegible] ის მაინც უნდა [illegible], რომ ოპტიმალურ სწორად „წარმოაჩინოს“ სტალინის პიროვნ[illegible] როგორც თავ[illegible] გრ. ონიანი წერს

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გამოხმაურება

რეცა სიმართლე იჩქმალება

ვან მერე, რაც ასეთი უხერხულობა გამოიწვია ქენეის ხელშეკრულების არაოფიციალური ეგზემპლარის საჯაროდ გამოტანამ, კიდევ უფრო უნდა გაეფრთხილდეთ, როცა ამ გზით მოპოვებულ მასალებს ეცნობით; ამიტომ დაბეჯითებით ვერ დავიბეჯითებთ, არაოფიციალური ეგზემპლარი გაეროს დამდგენი კომისიის მოხსენებისა აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და ეთნიკური წმენდის შესახებ ყოველმხრივ ზუსტია, თუ არა, მაგრამ რაც ხელთა გვაქვს („საქართველო“, 1994 წელი 4 თებერვალი), მარწილაც მრავალმხრივაა დამაფიქრებელი.

ოფიციალური უწყებანი განა ასეთ დღეში უნდა გვაგდებდეს? — ამგვარი დოკუმენტები რატომ უნდა იყოს გასაიდუმლოებული და ასე, კერძო პიროვნებათა მეშვეობით გვიხდებოდეს მისი მოძიება და გაცნობა?..

მცირე წინათქმაში რედაქცია გულისწყრომას გამოთქვამს დოკუმენტის ტენდენციურობის გამო. ცხადია, არა იმიტომ, რომ მოხსენებაში დაფარული არ არის ქართულ საჯარისო ფორმირებათა მიერ ჩადენილი დანაშაულებანიც. ასეთ დაფარვას შეუძლებელია შეურიგდეს ის, ვისაც წრფელად აწუხებს თავისი ქვეყნის ბედი, თანამემამულეთა ზნეობრივი სახე; და იღწვის საქართველოს სულიერი ამაღლებისათვის. ეს დანაშაულებანიც და უმძიმესი შეცდომებიცა თუ მანკიერებანიც არაერთხელ განუსჯიათ ჩვენს პრესაში და კიდევ ბევრჯერ დაეუბრუნდებით მასზე მსჯელობას, მაგრამ გულსატკენი (თუმც მოსალოდნელი) ისაა, რომ გაეროს კომისიამ სრულიად აუარა გვერდი რუსეთის მონაწილეობას ამ ომში.

კრინტსაც რომ არ ძრავენ რუსულ გენერალიტეტზე, როგორც საქართველოს დამარცხების მთავარ ორგანიზატორზე, ეს კიდევ არაფერი, მათგან ამის თქმა ყოველად წარმოუდგენელი იყო. ახლო წარსულის ყოველი დღე ადასტურებდა, რომ არ შეიძლებოდა ევროპისა თუ ამერიკის დახმარების რეალური იმედი გვქონოდა, რადგანაც ამაოილუზიაა, თითქოს ამჟამინდელ მსოფლიოში სულ სხვა პოლიტიკური ვითარებაა, ვიდრე 20-იანი წლების დასაწყისში, როცა ყველამ გაგვწირა რუსეთის კბალისათვის. მეტიც: ამ მხრივ არაფერი შეცვლილა XIX საუკუნის დამდეგიდან. ყველაფერი ულმობელი მიზნით მეორდება და რუსეთის სამხედრო ძალასა და დამპურობლურ ენის კვლავაც უფრთხის ევროპის ქვეყნებიცა და ამერიკაც.

და ეს რეალობა ამ დოკუმენტშიც ბუნებრივად აისახა სრული დუმილით: კომისია თვით ამასაც მოერიდა, რომ მკრთალად, მინიშნებით მაინც მიეთითებინა ომში რუსეთის მონაწილეობის რაიმე კვალი.

ნამეტანია? ესაა რეალობა.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დოკუმენტში საქართველო და აფხაზეთი ორ თანაბარუფლებიან სახელმწიფოდაა ნაგულისხმევი, და აფხაზები ამ მხარის აბორიგენულ მოსახლეობად არის მიჩნეული, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე უმცირესობად იქცნენ (ალბათ ქართველთა მხრივ განუწყვეტელი ჩაგვრა-შევიწროების გამო), ასეთ შეხედულებას მთლად კომისიას ნუ დავაბრალებთ.

გაეროს კომისიამ მხოლოდ გაიმეორა ის, რაც გაბატონებული იყო საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, და რითაც მარჯვედ ისარგებლეს რუსულმა იმპერიალისტურმა და აფხაზურმა ფაშისტურმა წრეებმა.

პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ აკრძალვამ— პირუთვნელად რომ წარმოაჩენდა საქართველოს ამ მხარის ნამდვილ ისტორიას — აუშვა აფხაზური ფაშიზმი. ბუნებრივია: როცა იჩქმალება სიმართლე, როცა იკრძალება პირუთვნელი ძიებანი და ნამდვილ ისტორიას ყალბი ისტორია ცვლის, თავს წამოყოფს ყოველგვარი უკეთურობანი. ამ კანონზომიერების მსხვერპლნი შეეიქნენი ჩვენი ახლოესი ისტორიის ამ ტრაგიკულ ეპიზოდში: წინასწარეე გაწყვეტილ ომში.

ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა თუ არა ამ უსამართლობის აღკვეთისა და „გიორგი მერჩულეს“ აღდგენის რეალური წადილი, საიდუმლო საშსახურებმა და ნომენკლატურულმა პოლიტიკოსებმა მაშინვე გაავრცელეს ყოველად მტკნარი ცილისწამებანი (იხ. ჩემს სტატიაში „ცრუგამონაგონი“, „თბილისი“, 1992, 20 ნოემბერი) და კვლავ შეუშალეს ხელი პავლე ინგოროყვას მტკიცებათა საყოველთაო დამკვიდრებას.

იმედი არ უნდა დაკკარგოთ, რომ სიმართლე ადრე თუ გვიან თავს გაიტანს, მაგრამ რა ეშველება 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით რომ დააბოლოვა ომის უბედურ დღეთა გრძელი რიგი?..

რა ეშველება უბედურ დღეთა ახალ რკალსაც: გადაბუგულ სოფლებსა და ლტოლვილთა ნაკადს?..

და, ვინ იცის, კიდევ რა მოგველის...

როსტომ ჩხეიძე

უცხოეთი საქართველოს შესახებ

რადიო „თავისუფლება“ იუწყება

ხუთშაბათს, 10 თებერვალს რადიო „თავისუფლების“ ტალღაზე გადაიცა ინტერვიუ მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესთან გიორგი თარხან-მოურავთან. საუბრის თემა იყო ბორის ელცინის საქართველოში ვიზიტის დროს ორ ხელმწიფოს შორის გაფორმებული სამეგობრო ხელშეკრულება. გ. თარხან-მოურავმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტი შეიძლება იყოს პოზიტიური, რამეთუ, ორი მეზობელი სახელმწიფო ვალდებულია მოაგვაროს ურთიერთობები გარკვეული ნორმატიული აქტების საფუძველზე. რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ისინი საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. აქტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების რამოდენიმე ასპექტს შეეხო: სამხედროს, ეკონომიკურსა და პოლიტიკურს. რაც შეეხება ხელშეკრულების სამხედრო პუნქტებს, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ჯარის ყოფნის დაკანონებას საქართველოს ტერიტორიაზე, „საერთო საზღვრებისა და მათი ერთობლივი დაცვის შესაძლებლობას. ხელშეკრულება ძირითადად პოლიტიკურ კულუარებში მოშზადდა. რის გამოც ფართო საზოგადოებისათვის უცნობია ამ პოლიტიკური თამაშის პირობები და ის შესაძლო დაწოლა, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ყველასათვის მისაღები უნდა იყოს ის აზრი, რომ არათუ რუსეთის, არამედ ნებისმიერი, სხვა ქვეყნის ჯარის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე არასასურველია. ბატონმა გიორგიმ აგრეთვე ეჭვქვეშ დააყენა ხელშეკრულების მომხრეთა ის არგუმენტი, რომ რუსის ჯარმა შესაძლებელია დახმარებაც კი გაუწიოს საქართველოს მთავრობას ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში. „თუ ამ საქმეს მთლიანად რუს ინსტრუქტორებს მივანდობთ, ეს ჩვენი სამხედრო ძალის დამოუკიდებლობის შეზღუდვასა და მანევრირების უნარის დაქვეითებას გამოიწვევს“. რაც შეეხება ხელშეკრულების ეკონომიკურ ასპექტს, ბატონ გიორგის აზრით, იგი რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობების განმსაზღვრელი მომენტია. თვით რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მეტად რთულია. ასე, რომ მისთვის არც თუ სასურველი ტვირთი იქნება საქართველოს და სხვა სხვა ყოფილი რესპუბლიკების ეკონომიკური პარტნიორობა, მათი სამანეთო ზონაში გაწევრიანება. ბატონ გიორგის აზრით, ის პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთში ამ იდეებს იზიარებენ, დიდ რისკზე მიდიან (არადა ფაქტია, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ეჭვ ქვეშ დააყენა ერთი ისტორიული ჭეშმარიტება: „Риск — дело благородное“). რუსეთი საქართველოს ბუნებრივი ეკონომიკური პარტნიორია, მაგრამ თუ იგი, ისევე როგორც ადრე, ერთადერთ პარტნიორად დარჩა, საქართველო კი მწვავედ რეაგირებს რუსეთში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებებზე (ამას ზაფხულში რუსეთის ეროვნული ბანკის მიერ შოკური მეთოდებით გატარებული ფულის რეფორმაც მოწმობს), ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურ კატასტროფამდე მივა.

ბ-ნ გიორგი თარხან-მოურავის აზრით, დღევანდელი მთავრობა პოლიტიკურად უუნაროა. მას არ გააჩნია გარკვეული პროგრამა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პოლიტიკური გეგმა. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება სახელმწიფო ხელისუფლების უუნარობის პრაქტიკული დადასტურებაა. მისივე აზრით, საქართველოს მთავრობის დაკომპლექტებაც არასწორად მიმდინარეობს. იგი ძირითადად ემყარება პოლიტიკურ, კონიუნქტურულ მოსაზრებას, პიროვნული და პარტიული ერთგულების პრინციპებს, მხოლოდ შემდეგ პროფესიულ კომპეტენტურობას. ხოლო რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, ბატონ გიორგის მის პოსტზე დღესდღეობით ალტერნატივის დასახელება არ შეუძლია. ასე, რომ ნათელი ხდება მიუხედავად იმისა, მოახდენს თუ არა პარლამენტი ამ თავსმოხვეული სამეგობრო ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომელიც გარუსაზღვრელი ვადით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგებამდე გადაიდო. ფაქტია, რომ იგი უკვე ძალაში შევიდა. ბატონი გიორგი თარხან-მოურავის აზრით, საქართველოს არჩევანი უკვე აღარა აქვს.

მოგვაწოდა
გივი ყურაშვილმა

საქართველოს სახალხო ფრონტის თეზისები საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გამო

I. საქართველოს მართვის კურსის თანდათანობითი შეცვლა 1991 წლის დეკემბრის გადატრიალებიდან დღემდე თავისი პოლიტიკური შინაარსით არის რუსულ-კომუნისტური ხელისუფლების რესტავრაციის მცდელობა დროებით შერბილებული ფორმით. ამ პროცესის განვითარების პერსპექტივა არის რუსული იმპერიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, აღდგენის მცდელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ბალტიისპირეთის გამოკლებით.

ეს მცდელობა ისტორიულად უპერსპექტივოა. რუსული იმპერიის შესაძლებლობები გეოპოლიტიკურადაც და სოციალურადაც ამოწურულია. მაგრამ მას წინ აქვს წარმატება-წარუმატებლობის ტალღათა მონაცვლეობის გრძელი ხანა (შესაძლოა, რამდენიმე ათწლეულიც), სანამ რუსეთი შეურიგდებოდეს წამყვანი როლის დაკარგვას და აგრესიულობის ნაცვლად თავის ყურადღებას შინაგან განვითარებაზე გადაიტანდეს.

არც ქართველი ერის, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენა ამ პროცესში არაფრით არაა გარანტირებული; გადარჩენის აუცილებელი პირობაა ერთგული (უცხო სახელმწიფოთაგან დამოუკიდებელი), ბრძოლიუნარიანი ხელისუფლების ყოლა.

II. საქართველოს ინტერესი რუსეთთან დამოკიდებულებაში მოიცავს:

ა) რუსეთის მხრიდან საქართველოსადმი აგრესიაზე ხელის აღებას (საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის ჩათვლით) და საქართველოში ახალი კონფლიქტების ორგანიზაციაზე ხელის აღებას.

ბ) შეუზღუდველ ურთიერთკომერციას რუსეთთან და რუსეთის გავლით სხვა ქვეყნებთან, ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

რუსეთის ინტერესი საქართველოს დამოკიდებულობაში მოიცავს:

1) როგორც მინიმუმს:

ა) საქართველოში რუსული ჯარის და სადაზვერვო საშუალებების განლაგებას ახლო აღმოსავლეთზე კონტროლისა და მასში ძალთა ბალანსის დაცვის მიზნით.

ბ) საქართველოს ნეიტრალიტეტს ანუ მის შეუსვლელობას სამხედრო-სტრატეგიულ ბლოკებში.

გ) საქართველოს დუმილს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ უკვე ჩატარებული აგრესიის ფაქტებზე.

დ) საქართველოს დუმილს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და ფორუმებზე ჩრდილო კავკასიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აუცილებლობისა და სამართლიანობის შესახებ.

2) როგორც მაქსიმუმს:

ა) საქართველოს მაქსიმალურ ეთნიკურ დექართველიზაციას (რუსიფიკაციის ჩათვლით), მისი სახელმწიფოებრიობის მაქსიმალურ რეალურ მოშლას, მისი ტერიტორიების მიტაცებას (თვით რუსეთისა და სხვების მიერ), მის ეროვნულ გახლეჩას და ტერიტორიულ დაშლას, ან

ბ) საქართველოს ფედერალიზაცას იმ მიზნით, რომ რუსეთის ხელთ მუდმივად იყოს საქართველოში ვითარების კონტროლი და საქართველოს სახელმწიფოს დაშლის საშუალება, რათა ამ ხიფათის რეალიზაციის მუქარით საქართველო მუდმივად იმყოფებოდეს რუსეთისადმი უპირობო მორჩილების მდგომარეობაში.

ორივე შემთხვევაში რუსეთის მიზანია სამუდამოდ გაბატონება საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე და ამ უკანასკნელის სამუდამოდ ჩაყენება თავისი თავდაცვითი და შეტევითი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების სამსახურში.

III. რუსეთის ინტერესების „1“ პუნქტში მოცემული ჩამონათვალის რეალიზაცია საქართველოს შეუძლია კომპრომისის სახით, იმ შემთხვევაში, თუ სათანადო კომპენსაციას მიიღებს რუსეთისაგან საქართველოს შესაბამისი ინტერესების რეალიზაციის სახით. „2“ პუნქტში მოცემული ჩამონათვალის რეალიზაცია საქართველოს არ შეუძლია, ვინაიდან ეს ნიშნავს ქართულ სახელმწიფოზე ხელის აღებას და ქართველი ერის გაქრობას ისტორიიდან.

„1“ პუნქტში ჩამოთვლილი თავისი ინტერესების რეალიზაციას რუსეთი დასჯერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მხრიდან წინააღმდეგობას შეხვდება. ამგვარად, რუსეთისადმი პოლიტიკური, დიპლომატიური და (აუცილებლობის შემთხვევაში) სხვა სახის წინააღმდეგობის გაწევა გარდაუვალია.

თავდაცვის ყველაზე ხელსაყრელი ზღუდე, რომელიც საქართველოს შეუძლია დაიკავოს თავისი საარსებო ინტერესების დაცვისას რუსეთის პირისპირ, არის პოლიტიკური ზღუდე: საქართველომ არცერთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას უკან თავისი იურიდიული დამოუკიდებლობის დაკარგვის მხრივ, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სრულფასოვანი იარაღი საქართველოს ხელში. თქმულიდან გამომდინარე, იურიდიული კაპიტულაციის ისეთი აქციები, როგორიცაა საქართველოს შესვლა „ესენგეში“ ან სამანეთო ზონაში და საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნის დაკანონება სათანადო ტოლფასი კომპენსაციის გარეშე, საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია ღალატად საქართველოს წინაშე.

IV. რუსეთის ფედერაციის პარლამენტის („დუმის“) ძირითად ფრაქციათა უარმა, რომ რატიფიკაცია გაუკეთოს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომელსაც თბილისში ხელი მოაწერეს 1994 წლის 3 თებერვალს, სანამ საქართველო რუსეთისთვის სასურველი ფორმით არ დაარეგულირებს საქართველოს ორ შინაგან პრობლემას — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისას, — და ელცინის მიერ ამავე პოლიტიკის დადასტურებამ ცხადყო, რომ რუსეთის არ აპირებს ხელის აღებას თავისი აგრესიული პოლიტიკის „2“ პუნქტში გადმოცემულ ვარიანტზე. ამგვარად, უპირობო ან თითქმის უპირობო კაპიტულაციის გზით რუსეთის მომხრობის იმ პოლიტიკამ, რომელსაც ატარებს საქართველოს მმართველი გუნდი დღეს, თავისი თავი ამოწურა.

V. რუსეთის წინაშე საქართველოს უპირობო ან თითქმის უპირობო კაპიტულაციის პოლიტიკას, რასაც საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი ატარებს, საქართველოს სახალხო ფრონტი საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ მიმართულად თვლის. საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ და სამხედრო კატასტროფას საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის ხელოვნურ მოვლენად, რომელიც გამოწვეულია არა მხოლოდ ობიექტური პირობებით, არამედ აგრეთვე ქართველი ერის დაუძლურებისა და დესტაბილიზაციის წინასწარ დასახული გეგმით, რომლის მიზანიცაა ერის დაყოლიება რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე და თავისუფლების დათმობაზე. საქართველოს სახალხო ფრონტი უნდობლობას უცხადებს ამ გუნდს.

VI. საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ საჭიროა საქართველოს პოლიტიკის მკვეთრი შემობრუნება და რუსეთთან ურთიერთობაში სხვა, დამოუკიდებელი კურსის არჩევა. შესაბამისად, აუცილებელია საქართველო მზად იყოს, რათა სრულიად გამოიყენოს მის ხელთ არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ყველა საშუალება, რათა მოქმედებაში მოიყვანოს ყველა ის მექანიზმები, რომლითაც შეუძლია განსაზღვროს რუსეთის მიერ მისი ზემოხსენებული „1“ ჯგუფის ინტერესების რეალიზაცია ან მასზე უარის თქმა. ეს არის რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკის სხვა, არსებული კურსისადმი ალტერნატიული კურსი, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც თანასწორი ან თითქმის თანასწორი თანამშრომლობის კურსი.

საჭიროა, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი იყოს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური ორგანოც, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებლად განსაზღვროს, პარლამენტის უფლებამოსილებებთან შესაბამისად, თავისი პოლიტიკა, ხოლო სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება უნდა შემოიფარგლოს იმ ფუნქციებით, რომელთა შესრულება მის რეალურად შეუძლია. საჭიროა რეალური და სწრაფი ცვლილებები დიპლომატიურ კორპუსში იმ ანგარიშიც, რომ საქართველო მზად იყოს თავისი ინტერესების დაცვისათვის გაეროსა და სხვა ორგანიზაციებში.

რეპორტაჟი უმუშევართა შეკრებიდან

დღეს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. სწორედ ამ მოთხოვნებს და პრობლემებს შეეხო ამა წლის 12 თებერვალს გამართული შეხვედრა, რომელიც მოაწყო უმუშევრებისათვის უმუშევართა დასაქმების საინიციატივო ჯგუფმა მიშა ფრიდონაშვილის ხელმძღვანელობით. შეხვედრა მწვავე დისკუსიად გადაიქცა. ერთ-ერთი გამომსვლელი, რომელიც თურმე 40 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა ქართულ კულტურას, დღეს უმუშევარია და მხოლოდ 30 000 კუპონს იღებს პენსიის სახით. ბაზრის ფასებს ცეცხლი უკიდია, ხოლო მაღაზიები ცარიელია. ცხადია, პიროვნებას თავისთავად ერთმევა უფლება იცხოვროს ადამიანურად და ამ სახელოვან კაცს, რომელიც შესანიშნავი პედაგოგი და რეჟისორი ყოფილა, დღეს მხოლოდ არსებობისთვის უხდება ბრძოლა.

შეხვედრაზე უხვად გამოითქვა მთავრობის მიმართ უკმაყოფილო სიტყვები და, ალბათ, ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც იქ შეკრებილთ, მათივე თქმით, უმუშევრობითა და უსახსრობით ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ, რათა შვილები სრულფასოვან მოქალაქეებად აღზარდონ.

კრებაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლება ვალდებულია მისცეს საზოგადოებას ბიოლოგიური გადარჩენის გზა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს კვების უფლება და რომ ჩვენ ეს უფლება წაგვართვეს, რომ მთავრობა არ ზრუნავს თავისი მოქალაქეების პირობების გასაუმჯობესებლად. უფრო მეტიც, ამ რამდენიმე ხნის წინ უმუშევართა დასაქმების საინიციატივო ჯგუფმა შეიტყო ერთ-ერთი ჩამოტანილი ჰუმანიტარული დახმარების ხელით გადატვირთვის შესახებ და მზად იყვნენ მოეხდინათ ტვირთის ადგილზე მიტანა, მაგრამ როგორც შემდეგ შეიტყვეს, თურმე სტუდენტებს უფასოდ გადაუზიდიათ ტვირთი, თუმცა რამდენიმე დღეში კონტროლის პალატამ ტელევიზიით განაცხადა, რომ ის ტვირთი, რომელიც სტუდენტების მიერ იქნა გადმოტვირთული არც ერთი დანიშნულების ადგილამდე არ იქნა მიტანილი.

იქვე ითქვა ისიც, რომ ხელისუფლება უმუშევრებს არ ეხმარება არაფრით. ამ რამდენიმე ხნის წინ უმუშევართა დასაქმების საინიციატივო ჯგუფმა შეიტყო რა, რომ მუშახელი უჭირდა ბოლნისის მეურნეობას კარტოფილის ამოსაღებად მაშინვე მოახდინეს ბოლნისში გამგზავრების ორგანიზაცია, მაგრამ ზემდგომმა ორგანოებმა ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ ეს ხალხი იქ არ წასულიყო. ამასთან, ვითომ აქედან ტრანსპორტის გასაგზავნად თუ სხვა მიზეზებისთვის, გამოყოფილი იქნა რამდენიმე მილიონი კუპონი, რომელიც გზაშივე იქნა რუსულ მანეთებზე გადახურდავებული. მათვე გააკეთეს ინფორმაცია 10 ტ. კარტოფილის დალპობის შესახებ, თუმცა სინამდვილეში ყველაფერი ჩამოწერის მიზნით გაკეთდა, ხოლო ჩვენი გაჭირვებული ხალხი დღესდღეობით, სომხეთიდან ჩამოტანილ ჩვენსავე კარტოფილს მანეთებში ყიდულობს, როცა თავისუფლად შეიძლებოდა ჩვენი უმუშევრების დახმარებით უამრავი კარტოფილი შემოსულიყო ჩვენს სახელმწიფო მაღაზიებში, მაგრამ ეტყობა ვიღაცას ესეც არ აწყობდა.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ მართავს სიტუაციას, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სართიჭალისა და საგარეჯოს შუა მდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოედინება ნავთობი, რომელსაც მთლიანად აკონტროლებს რომელიღაც შეიარაღებული ფორმირება და ადგილზევე ახდენს ნავთობის გაყიდვას თავისივე დადებულ ფასებში. ეს პროცესი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ გამკითხავი არავინაა, მითუმეტეს ამის შესახებ მთავრობამ ბრწყინვალედ იცის ყველაფერი.

კრებაზე გამომსვლელებმა ისაუბრეს სხვა მრავალ პრობლემატურ საკითხებზე და გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დღეს უმუშევრები და პენსიონერები საზოგადოების არეალის გარეთ მოექცნენ, რომ აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს უნარი და ძალა ფიზიკური არსებობისა. საჭიროა ამ ეტაპზე ყველა პროფესიის ხალხის შეკავშირება, გაერთიანება, ვინაიდან ერთი ტკივილი გვაქვს, ერთი ჭირი გვჭირს და ჩვენი პრობლემა ჩვენ თვითონვე უნდა მოვაგვაროთ. ითქვა იმის შესახებაც, რომ თანდათან ყალიბდება საზოგადოების კასტებად დაყოფა, რაც ხალხს ურთიერთდაპირისპირებამდე მიიყვანს. მთავარია სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე ხალხის დაპურება. იქ გამომსვლელმა მწვავედ დააყენეს ვაუჩერების საკითხიც და მოითხოვეს მისი დროული განაწილება. უმუშევართა და დასაქმების საინიციატივო ჯგუფმა განაცხადა, რომ 9 მარტისათვის დაგეგმილი აქვთ დიდი და მძლავრი საპროტესტო აქცია.

P. S. ჩემთვის პირადად გასაგები გახდა, თუ რა ტკივილმა გააერთიანა იქ მოსული ხალხი იმ სუსხიან დღეს, თუ რატომ საუბრობდა ასე განწირული, ლამის ტირილამდე მისული ხელოვანი კაცი შიმშილზე და იმ უზარმაზარ სახელმწიფო გადასახადებზე მაშინ, როდესაც პენსია მხოლოდ 30 000 კუპონი აქვს, ხოლო გაზის გადასახადი კი 6 მილიონს შეადგენს.

მართლაც და დროა ყველამ თავის საქმეს მიხედოს, ყველამ აგოს პასუხი ყველაფერზე, მათ შორის ჩვენმა ხელისუფლებამაც. სახელმწიფო რომ თავის ხალხზე უნდა ზრუნავდეს, ამის შეხსენება მთავრობას მშიერი ადამიანებისაგან არ უნდა სჭირდებოდეს. ვინ არ იცის, რომ დღეს ადამიანები თავისი პენსიით, ამ მათხოვრული ხელფასით ვერ ცხოვრობენ.

დადგა დრო ხელისუფლებამ გაატაროს რაიმე ღონისძიება, რომელიც იხსნის ხალხს, გადაარჩენს შიმშილისა და დალუპვისაგან და ამით დაიცავს ერს ბიოლოგიური განადგურებისაგან.

ირმა ლომაური

არჩევანი ჩვენ...

უკანასკნელ ხანებში ქართული საზოგადოების იმ ნაწილში, ვის უმთავრეს საზრუნავსაც მარილში ჩაწობილი პურის ლუკმა არ წარმოადგენს, სულ უფრო ხშირად გაისმის მოსალოდნელ პოლიტიკურ კატაკლიზმებზე ლაპარაკი. ასახელებენ კონკრეტულ თარიღსაც — მარტის შუა რიცხვებს და კონკრეტულ შემსრულებლებსაც. ამ უკანასკნელის ვინაობის გაშიფვრა ძნელი არ არის „შტატიანმა გადამტრიალებლებმა“ თავიანთ საჯარო გამოსვლებში რიხს მოუმატეს.

არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის ამხედრება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. დღეს მითუმეტეს, როცა საქართველოს მართავს მთავრობა, რომელიც პროფესიონალიზმითა და კომპეტენტურობით არც თუ შორეული წარსულის არარენტაბელური კოლმეურნეობის გამგეობასაც ჩამორჩება, ხოლო თუ ეროვნულობის საზომით მივუდგებით, არძინბა-კულუმბეგოვებიც ვერ შესძლებდნენ ჩვენთვის ასეთი „პატრიოტების“ მოძებნას. საქმეს ისიც გააიოლებს, რომ ასეთი რეჟიმის ისტორიის სანაგვეზე გადაძახებასაც არ შეიცხადებს ვინმე საქართველოში, გარდა კუპონის ნაჭუჭიდან რამოდენიმე ასეული ახალგამოჩეკილი მილიონერისა. ერთი სიტყვით, მიზეზსა და საბაბს თვითონ ხელისუფლება იძლევა, მაგრამ რა შეიძლება მოჰყვეს ყველაფერ ამას, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ საერთოდ მოხდა. გამოთქმა „ღმერთმა დაგვიფაროსო“, ამ შემთხვევაში ყოვლად უადგილოა. ღმერთი ჭკვიანებს იფარავს, ამაზე კი ახლა აშკარად ლაპარაკობენ. თანაც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია არამც და არამც არ განმუხტა, პირიქით, დაძაბა კიდეც. გალის რაიონში მიმდინარე პროცესები ამ დაძაბულობის კულმინაცია არ არის, მას თავისი უარყოფითი გამოძახილები ექნება.

ვარიანტი პირველი: ეს გამოსვლები შეიძლება მოხდეს სტიქიურად, განსაკუთრებით ლტოლვილთა მიერ. მათ არათუ 10 თებერვალს, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით შეიძლება მეორედ მოსვლამდე მოუწიოთ საკუთარ კუთხეში დაბრუნებისათვის ცდა.

ვარიანტი მეორე: ანტისამთავრობო გამოსვლები შეიძლება ინსპირირებული იყოს თავად ხელისუფლების მიერ. ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ საგანგებო მდგომარეობა კვლავ გაგრძელდება. რაოდენ ორგანიზებულიც არ უნდა იყოს ანტისამთავრობო გამოსვლები, რაოდენ სამართლიანი მისი მოთხოვნები, ვისაც ევალება, ის მოახერხებს სროლასაც და სხვა რამესაც, აღკვეთის დროს ხელისუფლება მოიშორებს მისთვის არასასურველ პირებს ან გაღიზიანებულ ბრბოს წარმართავს თავისთვის სასურველი მიმართულებით.

ვარიანტი მესამე: რუსეთს ხელშეკრულების მიღების შემდეგ აღარ აწყობს საქართველოში საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პიროვნება. შევადანაძისადმი მხარდაჭერა ჯერ ესენგე-ში შესვლის და მერე შავ ზღვაზე რუსეთისათვის 4 ბაზის მიცემის შემდეგ საგრძნობლად განელდა, მაგრამ ნდობის ვაკუუმი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ამიტომ რუსეთისათვის უმჯობესია საქმე ჰქონდეს ნამდვილარ-ნაცეკარ „პიროვნებასთან“, ვისი ავტორიტეტი არათუ დასავლეთში, იმ სოფელშიც საეჭვოა, სადაც იგი თხებს დასდევდა. დღეს, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში მრავლად მოიძებნება ისეთი ხალხი, ვისთანაც უბრალოდ დალაპარაკებაც კი ნებისმიერი ქვეყნის (ესენგე-ს გამოკლებით) ნებისმიერ მთავრობას ძვირად დაუსვამს საკუთარი ოპოზიცია. სწორედ ასეთი კაცი აწყობს საქართველოში ჩვენს მტერს. ამდენად ზემოხსენებულ ვარიანტთა შორის ყველაზე რეალური სწორედ ბოლო, მესამე ვარიანტია. თუმცა ქუჩაში გამოხატულ ნებისმიერ უკმაყოფილებას ხალხისას, ჩვენი დიდი მეზობელი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და ამისათვის მას საიდუმლო აგენტების გარდა, აგერ ახლა უკვე ხელშეკრულების ხელ-ფეხგახსნილი კადრის ნაწილებიც საკმაოდ ჰყავს.

თუ ჩვენ იმდენად უძლურნი ვართ, რომ რუსეთს და მის დაკრულზე მოთამაშე ლენინ პოლიტიკოსებს ნებისმიერი ვარიანტის გათამაშების საშუალება მივცეთ, მაშინ აქედანვე უნდა ვთქვათ უარი სახელმწიფოს შენებაზე, არადა ეს ასე არ არის. უპირველეს ყოვლისა, თავიდანვე უნდა გამოირიცხოს (და ჯანსაღი ეროვნული ძალები არც მოითხოვენ ამას) სახელმწიფო პრობლემების ქუჩაში გადაწყვეტის ვარიანტი. ვიმეორებ, ეს ხელს მიცემს მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეს. დროა ვისწავლოთ პოლიტიკის მხოლოდ დიალოგით, მაგიდასთან კეთება. მეორე, კრიტიკის ობიექტი უნდა გახდეს არა იმდენად შევარდნაძე, რასაც დასავლეთი მტკივნეულად იღებს და მათ არ უყვართ, როცა აღიზიანებენ, არამედ შევარდნაძის გარემოცვა, რომელმაც იმავე დასავლეთში უკვე მოასწრო სრული დისკრედიტაცია. მართალია ამ აპარატის შექმნა მთლიანად შევარდნაძის სინდისზეა, მაგრამ დღეს ანგარიშსწორების დრო არ არის. თუ ოპოზიცია შესძლებს და ქვეყნის ხელმძღვანელს ჩამოაცილებს ქურდბაცაცა მინისტრებს, უსამართლო სამართალდამცველებს, მთელი ცხოვრება უკანონობით გამორჩეულ „კანონშემოქმედებს“, ამით ერიც მოიგებს და ბერიც. დღეს კი მეთაურს ქვეყნის ბედით „გულშეძრული“ მგლების ხროვა ახვევია და ყოველ მათგანს კრავის ქურქი მოუხურავს. არც დემაგოგობა ესწავლებათ და... ბოღმით გატენილი გულები კი დიდხანს ვეღარ გაუძლებენ ასეთ მდგომარეობას. უნდა შევძლოთ ხალხში დაგროვილი აგრესიული მუხტის სწორი მიმართულებით განტვირთვა. სხვანაირად დაღუპვა არ აგვცდება. კიდევ ერთ „დემოკრატიულ რევოლუციას“, კიდევ ერთ სამხედრო საბჭოს მსოფლიო აღარ გვაპატიებს. მაშინ კი საბოლოოდ დავრჩებით საჯიჯგნად ორნისკარტიან არწივს, რომლის ერთი თავი ელცინისას წააგავს, მეორე კი ჟირინოვსკისას.

მერაბ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა არის ეს — პოლიტიკური ავანტიურა ეკონომიკური დივერსია, დილეტანტიზმი თუ ულუფებად ყველაფერი ერთად?!“

(დასასრული)

ვიწყებ საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის გაზეთ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში დასმულ შეკითხვაზე: „არასწორი საკრედიტო პოლიტიკა წარმოებდაო ამბობენ... რატომ არავის გაუანალიზებია, თუ რაში გამოიხატება ეს არასწორი პოლიტიკა?! რა ჩემი ბრალი იყო თუ რომელიღაც ფირმამ მიზნობრივად არ გამოიყენა გატანილი კრედიტები?...“ პასუხის გაცემას:

შე დალოცვილო, ყველა ამას გიკიჟინებდა, ყველა დონეზე — „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის“ დვალიშვილისეული ვარიანტი დამღუპველია საქართველოსათვის, ამას ამბობდა ექსვიცეპრემიერი, ეკონომიკის ექსმინისტრი, ექსპრემიერი, პარლამენტის კომისიის თავმჯდომარე. ეს ყველამ იცის. მაგრამ ყველამ არ იცის, თუ რა შეფასებებს აძლევდა დვალიშვილისეულ პოლიტიკას მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რა რჩევას აძლევდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. 1993 წლის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დასკვნით განცხადებაში აღნიშნულია: „თვეში 30—40%-იანი ინფლაციის პირობებში საწარმოები და მოსახლეობა არ არიან დაინტერესებული ბანკებში შეინახონ თანხები ან გაწიონ ინვესტიციები, ამის ნაცვლად ისინი უპირატესობას აძლევენ დასაქმებულ იქნენ სპეკულაციური სავაჭრო ოპერაციების წარმოებაში... მთელს სამანეთო ზონაში (მაშინ საქართველო სამანეთო ზონაში იმყოფებოდა) ინფლაციის ძირითადი მიზეზია მასიური საკრედიტო ემისია, რომელიც საქართველოში მთლიანად გამოვლინდა [illegible] კრედიტის არედან [illegible] განმავლობაში.... მისია [illegible] შეშფოთებულია იმით, რომ თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, უახლოეს პერიოდში გარდაუვალია ჰიპერინფლაციის წარმოშობა დაახლოებით ისეთი მასშტაბისა, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოსავლეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში“. ამავე დოკუმენტის I განყოფილებაში (გვ. 4) მისია გვაფრთხილებდა, რომ „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის“ განხორციელების საფუძველზე წარმოშობილი ჰიპერინფლაცია სრულად ანგრევს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას და, როგორც ისტორია გვასწავლის, არც თუ ისე იშვიათად მივყავართ ძალისმიერი პოლიტიკური აშლილობისაკენ“. ექსპრეზიდენტს, და ყველას ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან აფრთხილებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომ სასწრაფოდ იყო განსახორციელებელი მაკროეკონომიკური კორექტივები, მათ შორის საკრედიტო პოლიტიკაში, რომელიც მოხსნიდა დისბალანსს ეკონომიკაში. „თუ საქართველო მიიღებს გადაწყვეტილებას ეროვნული ვალუტის შემოღებაზე და შეინარჩუნებს ფინანსურ დისბალანსს, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს ეროვნული ვალუტის ღირებულების დაცემას“ (მე-3 განყ. გვ. 8). ე. ი. 1992 წლის 31 იანვრის გაფრთხილების შემდეგ მაინც უნდა შეეჩერებინა დვალიშვილს „თავისი კონვეირი“ (ემისიური კრედიტების ჭავლი), მაგრამ ეს არ მოხდა, პირიქით, კონტროლის პალატის მონაცემების მიხედვით, მარტო მარტის თვეში 141,4 მილიარდი ემისიური კრედიტი გამოუშვა ბრუნვაში საქართველოს მოსახლეობის „შიმშილისაგან ხსნის“ მიზნით; შემდგომ 1 მაისამდე კიდევ 27 მილიარდი მანეთი დაუმატა. სავალუტო ფონდის მისია ჯიუტობდა და ურჩევდა ბანკის ექსპრეზიდენტს, რომ თუ ივლი შიდა საკრედიტო ექსპანსიის გზით, იცოდე სოციალურად ნაკლებად დაცულ ფენებს დაღუპავო. არ დაუჯერა დვალიშვილმა საკმაოზე მეტად კომპეტენტურ, მსოფლიოში ცნობილ ეკონომიკურ ორგანოს, მისი მაღალპროფესიული ექსპერტების დასკვნებს და „სოციალისტური მეურნეობრიობის“ პირობებში მიღებული ცოდნისა და მონოპოლიზებულ სოციალისტურ სისტემაში მიღებული პრაქტიკისა და გამოცდილების, შეზღუდულ ცნობიერებაზე დაყრდნობით დღემდე შეუცნობელი (მაგრამ მალე შეცნობადი), სპეციალისტებისათვის გაუგებარი ნაბიჯები გადადგა — დიდის მონდომებითა და რუდუნებით, უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ლოცვა-კურთხევით, თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში, გახსნა და დაუკეტავი დატოვა ის ონკანი, საიდანაც უწყვეტ ნაკადად იწრიტებოდა საქართველო, მისი სასიცოცხლო არტერიები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგმა მისიამ, რომელმაც შეისწავლა საფინანსო-საკრედიტო სფეროში არსებული მდგომარეობა, დარწმუნდა, რომ წინა მისიების მიერ მიცემული რეკომენდაციები ძირითადად არ შეუსრულებია ეროვნულ ბანკს. ისინი წერენ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საკმაოდ აბსტრაქტული წარმოდგენა აქვსო ეკონომიკის თეორიის ელემენტარულ, მაგრამ ძირითად საკითხებზე. ზემოთაღნიშნული მოხსენებისათვის დაურთიათ № 1 დანართი, რომელშიც აღნიშნულია „ერთი საქმეა თქვა, როგორც ეს ითქვა ზემოთ, რომ ფულის მასის (ანუ კრედიტების) ზრდა რეალური ეკონომიკის ზრდის ტემპებზე მაღლა იწვევს მარტო ინფლაციას. სხვა საქმეა გაიგო, თუ როგორ ხდება ეს“. ამის საილუსტრაციოდ ფულის რაიონის განსაზღვრის მიზნით მისია ცდილობს გააგებინოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას კავშირი ფულის მასის, ინფლაციასა და რეალური ეკონომიკის აქტივობას შორის და იწყებს ასე: „წარმოვიდგინოთ კუნძული პირველყოფილი თემური წყობილებით, სადაც არ არის ფული...“

მას შემდეგ, რაც გავიგეთ რამდენად ინტენსიურ კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს უწევდა მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური ორგანო, მისი ექსპერტები ბატონ დვალიშვილს, ახლა ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტს და მის, უკვე გამოკვეთილ აპოლოგეტებს გვინდა გავაგებინო „... თუ რაში გამოიხატება ეს არასწორი პოლიტიკა?!“ ახლავე მოგახსენებთ, ოღონდ, ხშირად დავეყრდნობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რესპუბლიკის კონტროლის პალატის შეფასებებს, ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებსა და ექსპერტების მონაცემებს, ცნობილ ეკონომიკურ ლოგიკასა და ობიექტური ეკონომიკური კანონების ურთიერთკავშირს.

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონების უხეში დარღვევით, ბანკის ექსპრეზიდენტმა პარლამენტის დაუკითხავად ჯერ კიდევ 1992 წლის ნოემბერში დაიწყო ემისიური (ანუ რესურსებით გაუმაგრებელი, ე.ი. არარეალური) კრედიტების გაცემა უპირატესად არასახელმწიფო სექტორის ფირმებზე. საკონტროლო პალატის მონაცემებით 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების წესით ბრუნვაში გამოშვებულ იქნა 114,8 მილიარდი მანეთი (იმ დროის კურსის მიხედვით ამერიკულ დოლარებში თუ გადავიყვანთ — 242,2 მლნ. აშშ დოლარი), 1 თებერვლამდე კიდევ დაემატა 34 მილიარდი მანეთი (57,3 მილიონი აშშ დოლარი), 1 აპრილამდე ადრე გაცემულს დაემატა კიდევ 143,5 მილიარდი მანეთი (იმ პერიოდის კურსით — 22,5 მილიონი აშშ დოლარი), 1 მაისისათვის კიდევ დაემატა 26,9 მილიარდი მანეთი (იმ პერიოდის კურსით — 32 მილიონი აშშ დოლარი). ამდენად ეროვნული ბანკის მიერ 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 1993 წლის 1 მაისამდე ბრუნვაში გამოშვებულ იქნა დაახლოებით 321,4 მილიარდი მანეთი, ძირითადად თითქოსდა კვების პროდუქტების რესპუბლიკაში შემოსატანად და ამდენად შიმშილისაგან ჩვენს გადასარჩენად.

გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია 1993 წლის 31 მარტის დასკვნით განცხადებაში აღნიშნავდა, რომ „...საქართველოს ეროვნული ბანკი არ უნდა ისწრაფოდეს მოახდინოს გავლენა რესურსების განაწილებაზე მიკროეკონომიკურ დონეზე, კერძოდ კრედიტების ცალკეული დარგებისა თუ პროექტების დაფინანსების მიზნით კრედიტების გაცემაზე...“, რადგან „ეროვნულ ბანკს არ შეუძლია ეფექტურად გაანაწილოს კრედიტები. ყოველთვის არსებობს ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური დაწოლა, მიმართული დაბალ პროცენტებში საკრედიტო ემისიის მიღებაზე. როცა ცენტრალური ბანკი ცდილობს თვითონ გაანაწილოს რესურსები, მას ეძნელება გადალახოს პოლიტიკური ზეგავლენის ფაქტორი“ (იხ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1993 წლის 26 იანვრით დათარიღებული საქართველოს ფინანსური პროგრამის შემუშავების მიზნით ჩვენს ხელისუფლებაში წარდგენილი რეკომენდაციების წინასწარი პროექტი, პირველი დანართი, გვ. 27).

ყოველივე ეს, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, არ შეისმინა საქართველოს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტმა, თუმცა დიდი ილია (რომლის სურათის საქართველოს ეროვნულ ბანკში დაბინავებას და მისი სულის აღზევებას სულ ტყუილად აბრალებენ ბატონ დემურს) ასწავლიდა მას: „ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა სურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველ საგანს, ყოველ აზრს ბანკის შესახებ“, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, არ შეისმინა (ან არც სმენია არასოდეს) დიდი ილიას ეს დარიგება.

ყოველივე ამ მოქმედების შემდეგად: 1) თავიდანვე ინფლაციის სენია, დაავადებული თანხების საწარმოთა და ორგანიზაციების ანგარიშებზე მოხვედრამ დაარღვია მეტნაკლებად ჩამოყალიბებული საფინანსო და საგადამხდელო ბალანსი, დაირღვა არსებული ეკონომიკური კანონზომიერება, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუფასურა იურიდიული პირებისა და მოქალაქეთა ანგარიშებზე არსებული თანხები; 2) საწარმოების ანგარიშებზე არსებული თანხების გაუფასურებამ ჩამოაყალიბა საქართველოს საწარმოთა მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე ფასების სწრაფი ზრდის ტენდენცია (იხ. МВФ, Про-

межуточный доклад о модернизации НБ Грузии, გვ. 6—7, „ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში 1993 წლის პირველი ნახევრის მონაცემების მიხედვით (ანალიტიკური მოხსენება) გვ. 5—6); 3) სახელმწიფო კომერციული და კომერციული ბანკები აღარ მოგვევლინნენ მოსახლეობის დანაზოგებისა და საწარმოებთა დროებით თავისუფალი სახსრების ინფლაციისაგან დამცავ მექანიზმად იმის გამო, რომ ამ ბანკებმა ეროვნული ბანკის სახით იშოვეს რესურსების „უშრეტი წყარო“; 4) უნაღდო ანგარიშსწორების არხებში ასეული მილიარდობით „ძნელად განკურნებადი“ სენით დაავადებული თანხების გამოჩენამ ჩამოაყალიბა ე. წ. „ფულის გაცოცხლების“ ოპერაციაზე დიდი მოთხოვნილება და ამიტომაც 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 1993 წლის განსაკუთრებით I კვარტალში რესპუბლიკაში ნაღდი ფულის (მაშინ რუსული მანეთის იყო) ბრუნვის ყველა არხიდან ემისიურმა კრედიტებმა ბოლომდე ამოწურა ბრუნვაში არსებული რუსული მანეთის ბანკნოტები, რომელთაგან დიდი უმრავლესობა გადასროლილ იქნა რუსეთის ბაზარზე ვალუტის შესყიდვის მიზნით. ამის გამო, ჩვენმა თანამემამულეებმა 4—5 თვის განმავლობაში ვერ მიიღეს კუთვნილი ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები, მივლინების თანხები; 5) ასეთმა გარემოებამ შექმნა სოციალური აფეთქების სიტუაცია (ახლა სავალუტო ფონდის მისიის წინასწარმეტყველება, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი) და ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა რუსეთის ხელისუფლებისათვის ეთხოვა 60 მილიარდი რუსული მანეთის გამოყოფა ნებისმიერი პირობით (ვგულისხმობ ეკონომიკურ პირობებს), მაგრამ მაშინ რუსეთმა მის ინტერესებში შემავალი პოლიტიკური ინტერესების გადაწყვეტამდე საქართველოსათვის 60 მილიარდი რუსული მანეთის გამოყოფის საკითხი არც კი განიხილა (ამას შახრაისა და რამაზანოვის თბილისში ჩამოსვლამაც არ უშველა; 6) სოციალური აფეთქების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ მიეღო ზომები (მართალია ნაჩქარევად და მოუმზადებლად) — მიმოქცევაში შემოიღო ქართული კუპონი. ასე მოუხდა ქართულ კუპონს „დამჯდარიყო“ 500 მილიარდი მანეთის საკრედიტო ემისიაზე, რაც იგივეა — დამეწყრილ ნიადაგზე სახლის მშენებლობა რომ დაიწყოს კაცმა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო; 7) აღნიშნულის პარალელურად, ზემოთადნიშნული გარემოებების გამო, შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი საქართველოში უსაქონლო ოპერაციების აღზევებისათვის, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა კომერციული სტრუქტურები და ათეული ათასობით ადამიანი; 8) მოვიძიეთ მონაცემები ბანკის ექსპრეზიდენტის მიერ დაშვებული შიდა საკრედიტო ექსპანსიის ხარჯზე შემოტანილი კვების პროდუქტებზე, მაგრამ ბრუნვაში გაშვებული ემისიური კრედიტების ერთი პრცენტის ექვივალენტური ღირებულების კვების პროდუქტების შემოტანაც კი არ არის რეგისტრირებული. უფრო მეტიც, საქართველოში 1993 წლის პირველ ნახევარში კერძო სტრუქტურებში საქონლბრუნვის სიდიდე (ყველა წყაროს ხარჯზე) არ აღემატებოდა 35 მილიარდ მანეთს (იხ. „ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში 1993 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით ანალიტიკური მოხსენება, თბ., 1993 წ., გვ. 31). საბოლოოდ. შესაბამისი მასალებისა და მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა 1993 წელს შიმშილისაგან ბანკის ექსპრეზიდენტმა კი არ გადაარჩინა, არამედ ხალხმა თვითონ გადაირჩინა თავი, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტით: თურქეთიდან და ამერიკიდან შემოსული ხორბლისა და თურქმენეთიდან მოწოდებული გაზის წყალობით.

500 მილიარდი (ვგულისხმობ ბრუნვას და არა კრედიტის ნაშთს) მანეთის კრედიტად გაცემული სახსრები კი დაბორიალობდა საქართველოს საბანკო არტერიებში, რომლის ტალღები დამანგრევლად ეხეთქებოდა ხან ერთ კომერციულ სტრუქტურას, ხან მეორეს — შედეგად მივიღეთ ის, რაზეც არაერთხელ გავუფრთხილებივართ საერთაშორისო სავალუტო ფონდს — უკიდურესობამდე გაუფასურდა კუპონი, დაბეჩავდა ხალხი.

„რა ჩემი ბრალი იყო, თუ რომელიღაც ფირმამ მიზნობრივად არ გამოიყენა გატანილი კრედიტები?..“ — ბრძანებს ბანკის ექსპრეზიდენტი თავის ცნობილ ინტერვიუში.

ჯერ ერთი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველოს მაშინდელი მთავრობა გაფრთხილებდა შე დალოცვილო, მოითხოვდა — ეროვნული ბანკის საქმე არ არის კრედიტების კონკრეტულ ფირმებზე გაცემაო და მაინც, ჯიუტად აკეთებდა ამას. თუ რატომ, ამას ალბათ შესაბამისი ორგანოები დაადგენენ, მაგრამ თუ შენ — საბანკო სისტემაში ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, საბანკო კანონმდებლობისა და არსებული წესების დარღვევით ფირმის მომსახურე ბანკს შეურჩიე ფირმა (ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურე ბანკისათვის სრულიად უცნობი რეპუტაციისა და საქმიანობის); განუსაზღვრე ფირმაზე გასაცემი კრედიტების მიზნობრიობა; გასაცემი სესხით სარგებლობის ვადა; კრედიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთის სიდიდე და ასეთ პირობებში ნამუსიანმა კაცმა შეიძლება თქვას „რა ჩემი ბრალიაო?“

საქმე იმაში გახლავთ, რომ საქართველოს საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც ბანკების ბანკს, განსაზღვრული აქვს თავისი ფუნქციები და ვალდებულებები. კანონმდებლობით ეროვნულ ბანკს უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ფირმაზე კრედიტის გაცემის თაობაზე. ასეთი საკითხების გადაწყვეტა ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევად ითვლება, რომელიც აკრძალულია კანონით.

მე მგონი, ამჯერად მაინც, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა „თუ რაში გამოიხატება ეს არასწორი პოლიტიკა?!“, თანაც სათანადო არგუმენტებსა და წყაროებზე დაყრდნობით (ისე წყაროების მითითება უფრო მეტი დოზით შეიძლებოდა, მაგრამ შეგნებულად შევიკავეთ თავი ზოგიერთი წყაროს კონფიდენციალურობისა და სხვა გარემოებების გამო, რომლებზედაც მომავალში შეიძლება კიდევაც მოგვიწიოს საუბარმა).

საქართველოში ე. წ. „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის“ გატარების შედეგებში ჩახედვამ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, რადგან ჩემდაუნებურად აღმოვჩნდი ისეთ ფოკუსში, საიდანაც ყველაფერი საკმაოდ მკაფიოდ ჩანს. ბევრი რამეც არ ვთქვი, შეგნებულად არ ვთქვი, რადგან უმეტესობა სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციაა და ვფიქრობ, ისინი ამოქექავენ, ყველაფერს თუ არა, ნაწილს მაინც. მაგრამ ერთი რამ ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებსაც ბანკის ექსპრეზიდენტის „საქმენი საგმირონის“ წარმოჩინებისა და მისი „ღვაწლის“ რეანიმაციის მიზნით პრესის ფურცლებზე თავისებური „მარულა“ რომა აქვთ გამართული, არ შემიძლია დიდი ილიას სიტყვებით არ შევახსენო: „... ვახსენოთ ღმერთი და ვინც მართალი და ღირსი გვეგონოს ჩვენი ნდობის, იმედისა, მარტო ისინი ამოვირჩიოთ; ნუ ავყვებით ნურც ძმობას, ნურც ნათესაობას, ნურც მეგობრობას, ნურც მტრობას და ნურც ვისიმე თხოვნასა. შევუდგეთ ამორჩევას ისე, როგორც ჩვენმა სინდისმა გვაგონოს თვითეულს ჩვენგანს საყოველთაო სიკეთისათვის, მერწმუნეთ, სინდისი ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ შეგვაცდენს, ვიდრე სხვა რამე“, მათ შორის, ამ ძნელბედობის ჟამს გადარიცხული თუ გადარიცხვის გარეშე სასპონსოროდ გაღებული თანხები.

მ. ცხინვალელი

ქურთისტანი მზად არის კვლავაც გააგრძელოს ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან

სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში სახალხო ფრონტთან არსებული ქურთული კულტურის ცენტრმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელიც მიჰყავდა ქურთული კულტურის ცენტრის დირექტორს ბ-ნ ზაზა კალაშოვს. მან იქ დამსწრე საზოგადოებას აუწყა თავიანთი ვიზიტის შესახებ, რომელიც ქურთული კულტურის ცენტრმა ა.წ. 13 იანვარს თურქეთში მოაწყო, სადაც გულთბილად შეხვდნენ ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები შეიხ საიდი, სირიის ქურთისტანის ერთიანობის პარტიის წარმომადგენელი სევდინი, ქურთისტანის პარლამენტის წევრი შეიხ ალისთანი.

ბ-ნმა ზაზა კალაშოვმა აღნიშნა, რომ ირაყის ქურთისტანის ქ. დაოკში გაიმართა „ლალიშის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა, სადაც შედგა გულთბილი საუბარი და დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება, საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ქურთული კულტურის ცენტრსა და ქურთისტანის იეზიდდა კულტურის ცენტრთან. გადაწყდა, რომ მუდმივად ექნებათ ერთმანეთთან დელეგაციების, ინფორმაციის და სხვადასხვა მასალების გაცვლა-გამოცვლა.

ბ-ნმა ზაზამ აღნიშნა, რომ ა.წ. 20 იანვარს ქ. ერბილში შეხვდნენ ქურთისტანის პარლამენტის სპიკერს ბ-ნ ჯოხარ სალუმის და პარლამენტის მდივანს ბ-ნ ფარსატს, რომლებმაც სინანული გამოთქვეს საქართველოში შიმდინარე პროცესების გამო. შეხვედრა მოაწყვეს აგრეთვე პრემიერ-მინისტრთან კოსრატ რასულთან.

ბ-ნი ზაზა კალაშოვის თქმით, დღეს ერაყის ქურთისტანის ფედერაციას 2 მძიმე ემბარგო ადევს: ერთი — გაეროსაგან, ხოლო მეორე — ერაყის დიქტატორისაგან, რაც არ აძლევს საშუალებას მათ ეკონომიური დახმარება გაუწიონ საქართველოს.

ქურთული კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი ბარზან მალახალდი თანახმაა საქართველოსთან, ქართველ კოლეგებთან ურთიერთობების დამყარებაზე, დელეგაციების გაცვლა-გამოცვლაზე.

ქართული კულტურის ცენტრის დირექტორმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ ქურთისტანის ხელმძღვანელობა საქართველოს მიმართ ძალიან კარგად არის განწყობილი და მზად არის კვლავაც გააგრძელოს ურთიერთობა ქართველ კოლეგებთან ყველა სფეროში. როგორც ბ-ნმა ზაზამ გვამცნო ვიზიტის დასასრულს ქურთისტანის კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ ბარზან მალახოლდს საქართველოში არსებულ ქურთული კულტურის ცენტრისთვის საჩუქრად გადაუცია საათი ქურთისტანის სულიერი ლიდერის მოლა მუსტაფა ბარზანის გამოსახულებით.

რიმა ლომაური

პირველი გვერდიდან

რომ ხელისუფლებამ, რომელიც დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ამშენებლის პრეტენზიით მოვიდა ქვეყნის სათავეში, შეიძლება ითქვას, თითიც კი არ გაანძრია იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი საყრდენი, მისი ვალუტა შეძლებისდაგვარად დაეცვა და მასთან ერთად ის ეკონომიკური რეფორმებიც გაეტარებინა, რომელიც ამოგვიყვანდა კრიზისიდან და დასავლური ყაიდის საბაზრო ეკონომიკისკენ მავალ გზაზე შეგვაყენებდა.

ნაცვლად ამისა, მთავრობა ძირითადად რეტროგრადი ჩინოვნიკებით დაკომპლექტდა და რეფორმატორებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მთავარ რეფორმატორს, ბატონ რომან გოცირიძეს სამოქმედო ასპარეზი შეუზღუდა. დღეს მთავრობაში ის ძალები დომინირებენ, რომლებიც საკვანძო სამეურნეო თუ პარტიულ თანამდებობებზე იყვნენ უახლოეს წარსულში და ჭარბად არიან „დატვირთულნი“ მაშინდელი მმართველობითი გამოცდილებით, ანუ იმ გამოცდილებით, რომელიც მაშინ მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ცენტრალიზებული წესით რუსეთიდან გამოგზავნილი ნედლეული, საწვავი, საკვები თუ სხვა სახის მასალა ადგილზე გადაენაწილებინათ, ზოგისთვის მეტი მიეცათ, ზოგისთვის ნაკლები (ვინ უკეთ ჩააწყობდა). იქიდანვე (ცენტრიდან) გამოგზავნილი გეგმები ადგილებამდე დაეყვანათ, მისი შესრულებისთვის თვალყური ედევნებინათ, ხალხი პარტიულ და საბჭოურ ბურუსში ჰყოლოდათ და ა. შ. ასეთი გამოცდილების მქონე ხალხი, რომელსაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი მონოპოლისტის, ასე ვთქვათ, ზედამხედველის, ცენტრალური გამანაწილებლის, ცუდი გაგებით „ბოსის“ ფსიქოლოგია, ძნელი დასაჯერებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის აშენებას შეუდგეს და ხელიდან გაუშვას ეკონომიკის ერთპიროვნულად მართვის სადავეები. პირიქით კი შეიძლება მოხდეს: კვლავ ძველი სტრუქტურები, ძველი მეთოდები აღორძინდეს და კოლმეურნეობებიდან დაწყებული ისევ ძველი ეკონომიკური ფორმები იქნეს შემოღებული.

რა თქმა უნდა, ადამიანი თავისი ბუნებით, ფსიქიკით და საერთოდ, თავისი არსით დროსა და გარემოში იცვლება და შეიძლება ისიც დაიჯეროს კაცმა, რომ ყოფილი კომუნისტები მორწმუნეები გახდნენ, რომ ყოფილ სამეურნეო მუშაკებს საბაზრო ეკონომიკას არაფერი ურჩევნიათ და ა.შ. მაგრამ ეს შეიძლება დაიჯეროს იმ შემთხვევაში, თუ ამ ფერიცვალებისას ადამიანი მხოლოდ ფერს კი არა, შინაარსსაც იცვლის და ამ თავის ფერიცვალებას საქმითაც ამტკიცებს. ამიტომაცაა, რომ დღევანდელი ჩვენი ზოგიერთი დიდი ჩინოვნიკის (ყოფილი ფუნქციონერის) საქმიანობა, სამწუხაროდ, საკმაო ეჭვს ბადებს იმისას, რომ დღეს ჩვენში სიტყვით ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, საქმით კი ისევ უკან, გეგმიური ეკონომიკისკენ ვბრუნდებით.

ამის დასტურია სწორედ ის ფაქტი, რომ ისეთი რანგის ეკონომისტი, როგორიც გახლავთ ბატონი რომან გოცირიძე, რომელსაც მისი განსწავლულობისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო დიდ პატივს სცემენ დასავლეთის ფინანსურ და საქმიან წრეებში, დღეს საქმისაგან ჩამოცილებულია და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობაზე პასუხს არავინ აგებს, თუ არ ჩავთვლით ბატონ ამირან ქადაგიშვილს, რომელიც ნომინალურად ითვლება მთავარ რეფორმატორად, მაგრამ ისე სჩანს, მას არავინ არაფერს ეკითხება და მეტიც, თვით მისი პირმშო „კავკასიის ბირჟა“, როგორც ამბობენ, ზემდგომი ორგანოების მითითებით თანდათან ინგრევა და ერთ-ერთი მძიმე ბრალდება მის მიმართ ასეთია: კუპონ ი „კავკასიის ბირჟამ“ გააუფასურაო.

კუპონის გაუფასურება, ჩვენის აზრით, მაშინ დაიწყო, როცა ეროვნული ბანკიდან ჩემოდნებით და ლამის სატვირთო მანქანებით გაიტანეს საკრედიტოდ განსაზღვრული კუპონები და მანეთები, რომელთა დიდი ნაწილიც ხვდებოდა „კავკასიის ბირჟაზე“ და შავ ბაზარზე. მშვენივრადაა ნათქვამი: თევზი თავიდან ყროლდებაო. კუპონის ამდენი მასა რომ არ გასულიყო ბირჟაზე და შავ ბაზარზე და მის გამცემ-გამტანებს მისი ხელოვნური „ტრიალით“ მილიარდები არ ეკეთებინათ, კუპონი დღეს ასე გაფარჩაკებული არ იქნებოდა. ხელისუფლებამ კი თვალი ხუჭა, ყური დაიყრუა და დღეს, როცა საბოლოოდ გვეტირა ყოფა, როცა ვისაც უნდოდა, სნგ-ც გაინაღდა და სამანეთო ზო-

დასასრული მე-8 გვერდზე

პარტიული პრესა — უპარტიო პრინციპით

რა იღონოს მეოთხე ხელისუფლებამ, როცა პირველ სამს უჭირს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად 16 თებერვალს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრში გაიმართა საუწყებო და პარტიული პრესის წარმომადგენელთა შეხვედრა.

ასეთი შეხვედრები Publik Relations' ცენტრში უკვე ტრადიციად იქცა. ამჯერად აქ თავი მოიყარეს გაზეთების „კონტაქტის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „ბანკის“, „საქართველოს“, „ქართული ქრონიკების“, „დედამიწის“ წარმომადგენლებმა. საუბრის თემა იყო საინფორმაციო პოლიტიკა — რამდენად რეალურია დღეს საუწყებო და პარტიული პრესისათვის დამოუკიდებელი საინფორმაციო პოლიტიკის გატარება, რამდენად არის გაზეთის რედაქცია დამოკიდებული დამფუძნებელ ორგანიზაციაზე და სად გადის ამ დამოკიდებულების ზღვარი. გარდა ამისა, შეხვედრაზე თავი იჩინა დღევანდელი პრესის უმთავრესმა პრობლემამ — ფინანსურმა გაჭირვებამ. ამ საკითხს მეორეც მოჰყვა — სპონსორი. კითხვა, რამდენად არის რედაქცია დამოკიდებული დამფუძნებელზე, დღესდღეობით, ალბათ, ისევ რიტორიკულად რჩება.

როგორც შეხვედრაზე გაირკვა, რედაქციის წარმომადგენლებსა და დამფუძნებელ ორგანიზაციას შორის უთანხმოებას იშვიათად აქვს ადგილი. გაზეთ „კონტაქტის“ რედაქტორის ნანა იაშვილის თქმით, მას ჯერჯერობით არ ჰქონია დაპირისპირება დამფუძნებელ სამინისტროსთან. თუმცა ამ შემთხვევაში გაზეთის სპეციფიკაც გასათვალისწინებელია, მისი მოღვაწეობა ძირითადად სოციალური და კომერციული ინფორმაციული სამსახურით შემოიფარგლება. ასევე უკონფლიქტოა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ურთიერთობა მწერალთა კავშირთან, „დედამიწის“ — მწვანეთა პარტიასთან. გაზეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იძულებულნი არიან ასახონ დამფუძნებელი ორგანიზაციის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები, გამოაქვეყნონ განცხადებები, მათი გადაწყვეტილებები და ა. შ. მათი ამ უწყებებისადმი კუთვნილება მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ძირითადად კი, წარმომადგენელთა თქმით, ეს გამოცემები თავისუფალი პრესის პრინციპით სარგებლობენ და არანაირ დაწოლას არ განიცდიან დამფუძნებლებისაგან. მაგრამ რამდენად შეესაბამება ეს განცხადება სინამდვილეს? „კონტაქტისა“ და „დედამიწის“ ინფორმაციულ სამსახურს მთლიანად უზრუნველყოფს მათი დამფუძნებელი ორგანიზაცია. ეს გაზეთები ნაკლებად არის ჩართული ინფორმაციულ სისტემაში. შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში სერიოზული საუბარი დამოუკიდებელ საინფორმაციო პოლიტიკაზე? რასაკვირველია, არა... ალბათ, არავისთვისაა საიდუმლო, რომ საგაზეთო ინფორმაციის შერჩევის პრინციპიც კი გარკვეული პოზიციის გამტარებელია, ხოლო სვეტებში ინფორმაციის განლაგება და თანმიმდევრობა საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. ასე რომ, მიუხედავად სასურველისა, ამ სახის გამოცემებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია დამოუკიდებელი ინფორმაციული პოლიტიკის წარმოება. რაც შეეხება გაზეთ „ბანკს“ და მის დამფუძნებელ ეროვნულ ბანკს მათი კონფლიქტი სახეზეა. როგორც გაზეთის რედაქტორმა გ. ლომაძემ განაცხადა, ამ დაპირისპირების შედეგად გაზეთმა, რომელიც ორი წლის განმავლობაში არსებობდა და დღესაც 1300 ხელისმომწერი ჰყავს გამოსვლა შეწყვიტა. გია ლომაძის ინფორმაციით, ამის მიზეზი გახდა ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელი პოლიტიკა, რომელსაც რედაქცია არ ეთანხმებოდა. „ბანკის“ რედაქტორმა აღნიშნა, რომ მათ ინფორმაციულ ბანკში არის არაერთი სკანდალური ფაქტი, რომელიც დღემდე წმინდა ეთიკური მოსაზრებების გამო გვერდზე იყო გადადებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ გაზეთის გამოსვლისთანავე ეს ფაქტები საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება. კონფლიქტი ეროვნულ ბანკსა და გაზეთს შორის დღესაც გრძელდება და თუ იგი დამფუძნებლის სასარგებლოდ გადაწყდა რედაქცია უფლებას იტოვებს სახელწოდების შეუცვლელად გამოეყოს ეროვნულ ბანკს და განაგრძოს არსებობა დამოუკიდებლად. რაც შეეხება „საქართველოს“ მისი რედაქტორის ნ. გრიგალაშვილის თქმით, კონფლიქტური სიტუაციების დროს იგი მთლიანად სარგებლობს რედაქტორის უფლებებით. მისივე პერიფრაზით გაზეთს „არც ბატონი ჰყავს, არც პატრონი“.

რაც შეეხება იმას, გრძნობენ თუ არა გაზეთის რედაქტორები თავს მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებად პასუხი ცალმხრივი და ამომწურავი იყო — არა. დღესდღეობით საგაზეთო პუბლიკაციები პრაქტიკულად არაქმედითია. პრესა „წერა-იკითხეს“ პრინციპით მუშაობს. ერთი კი ნათელი გახდა, მეს მედიამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფოში მიმდინარე ყველა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესზე. მისი გადასაწყვეტია როდის „თქმა სჯობს არათქმასა“ და როდის „თქმითაც დაშავდების“. ასე რომ, დღესდღეობით მეოთხე ხელისუფლებაზე სერიოზული საუბარი ნაადრევია, თუმცა შეხვედრის მონაწილეებმა პირველი სამის არსებობაც ეჭვქვეშ დააყენეს. რაც შეეხება პარტიული და საუწყებო პრესის ურთიერთობებს დამფუძნებლებთან, მათ დამოუკიდებლობას, ეს კითხვა შეხვედრის შემდეგაც უპასუხოდ დარჩა. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ეს გამოცემები ცდილობენ გაატარონ დამოუკიდებელი საინფორმაციო პოლიტიკა, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ეს, როცა ინფორმაციის ერთადერთი მომწოდებელი დამფუძნებელია, ხოლო რედკოლეგია მთლიანად პარტიის გამგეობის წევრია — უცნობია. არადა, ჩვენივე საზოგადოების გამოცდილებიდან გამომდინარე, არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე გარკვეული იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქცეული სიტყვის მოჩვენებითი თავისუფლება.

რაც შეეხება დამოუკიდებელ პრესას, შეხვედრის მონაწილეებმა ასეთი დაყოფა პირობითად მიიჩნიეს: „ნებისმიერი გაზეთი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც თავისუფალია მისი რედაქტორი“. ასე რომ, პარტიული პრესა დღეს თავს საკმაოდ თავისუფლად გრძნობს. რამდენად რეალურია ეს თავისუფლება, ამაზე პასუხი ვერც საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრში გამართულმა შეხვედრამ გასცა. ერთი კი ნათელი გახდა, საუწყებო და პარტიულ პრესას სურს ააგოს თავისი საინფორმაციო პოლიტიკა თავისუფალი პრესის პრინციპებზე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ, რომ ჩვენი სურვილები უფრო ხშირად ემთხვეოდეს ჩვენს შესაძლებლობებს.

ხათუნა კვესელავა

ШАЛВА ЬИДАШЕЛИ

СТАЛИНИС КИДЕВ ЕРТИ АПОЛОГИА ДА МИСИ ПСИХОЛОГИУРИ САФУАВЛЕБИ

პირველი გვერდიდან

„ყოველგვარი მიკერძოების გარეშე“ „გააცნოს საზოგადოებრიობას მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შუქ-ჩრდილები“ (ხაზი ჩემია, შ.ხ.). უფრო მეტიც, მიუხედავად ავტორის მკვეთრად გამოხატული პროსტალინური პოზიციისა, მან სტალინის სიდიდისა და განსაკუთრებულობის ჩვენებაც ვერ შესძლო და შემოიფარგლა მხოლოდ „იმ ამაზრზენი ბრალდებებითა და ცილისწამებით“, რომლებიც „მიმართულია, როგორც სტალინისა, მისი სახელისა და დამსახურების დასაკნინებლად, ისე ქართველი კაცისა და საქართველოს სახელის „გასატეხად“ (ხაზი ჩემია, შ. ხ.).

სამწუხაროდ, ვერც ეს ამოცანა იქნა გარკვეული წესვერის და საკმარის დონეზე და პირველი ასოციაცია, რომელიც ბ-ნ ონიანის „პასუხებმა“ გამოწვია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ დამოწმებული ალექსანდრე მაკედონელის სიტყვებია: „არა დიდ იყვ აქილე, არაწედ დიდა მეომხვე მაქბარსა უმჯობს“ (ამ სიტყვების ასრი შემდეგია: აქილევსი თავად კი არ იყო დიდი, დიდი იყო ჰომეროსი, რომელსაც აქილევსი „შეეყარა“ და ჰომეროსმა წარმოადგინა ის დიდ პიროვნებად).

გრ. ონიანის დამოწმებულ სიტყვებში ყურადღებას სტალინის დისკრედიტაციის ქართველი ხალხის დისკრედიტაციასთან დაკავშირების ფაქტი იმსახურებს. ერის დისკრედიტაციის მიზნით მისი „ულირსი შვილის“ გამოყენება (განსაკუთრებთ მცირერიცხოვანი ერების შემთხვევაში) და ცალკეული პიროვნებების დანაშაულებათა პასუხისგებლობის გადატანა მთელ ერზე, პოლიტიკური ასოციაციების მდაბალი და ულირსი ფორმაა. თუმცა ამ „წესს“ ხშირად მიმართავენ, რათა საკუთარ შოვინისტურ და სხვა ხალხების სიძულვილს, გზა გაუხსნან.

ამგვარ პრიმიტიულ და ამავე დროს, უსუსურ პოზიციას წარმოადგენს, რაც სტალინისა და ქართველების მიმართ ხშირად ხდება, და რახედაც არცა ღირს ყურადღების ფიქსირება, ერთი გარეშეა რომ არა.

ძალიან ხშირია ისეთი საპირისპირო, არა ნაკლებ საწუხარო, შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი ყურადღებას თავის გამოჩენილ პიროვნებებზე აფიქსირებენ, რათა ეს საკუთარი ერის მნიშვნელობისა და ხშირად დაუმსახურებელი გზავადების მიზნით გამოიყენონ. გამოკვლევაში, რომელიც იოანე პეტრიწს ეხებოდა (1909 წ.), ნიკო მარრა ყურადღება მიაქცია, რომ შუა საუკუნეების ეს მოაზროვნე ძალიან დიდი სახელით სარგებლობდა. მაგრამ ამის დამსტურებელი ფაქტები არ ჩანდა და ასეთი კითხვა ბუნებრივად წამოიჭრა: ჰქონდა ამ დიდებას ობიექტური საფუძველი, თუ გამოწვეული იყო, „ეროვნული მეგალომანიით“, რომელიც მაშინ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, „უკრეტად ახასიათებს პატარა ხალხებს, ეიდრე დიდ ხალხებს“.

მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ პეტრიწის მკვლევარმა დამაჯერებლად დასაბუთა, რომ პეტრიწი თავისი დროის მართლაც დიდი მოაზროვნე იყო და მისი დიდება კანონზომიერ ფაქტს წარმოადგენდა. საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარემ თავისი ამოცანა ვერ შესრულა (მუხედავად საამისო საბუთების არსებობისა და ავტორის დიდი სურვილისა) და მკითხველებს ხელში შერჩათ (სტალინის „პატარა ერებისათვის დამახასიათებელი მეგალომანიის“ უნუგეშო ტყვეობაში მყოფი დღევანდელი შემფასებელი).

დღევანდელ პირობებში სტალინზე წერას მეცნიერული ხასიათი უნდა ჰქონდეს და მეცნიერულად დადგენილ ფაქტებს ემყარებოდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მას გამართლება და დაკმაყოფილებს მკითხველის ინტერესებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აპოლოგიები და პანეგერიკები კი არა, აუცილებელი ამ პიროვნებაში დადებითის ჩვენებაცაა და უარყოფითისაც. და თუ მაინცა და მაინც აუცილებელი იყო ამ უკომპრომისო ათეისტის შედარება ღმერთთან, არ იყო საჭირო თვალების დახუჭვა მისი ხასიათის სატანურ საწყისებზე.

აქაც ერთი წინასწარი შენიშნა: რა კონკრეტული შინაარსი იფარება „დადებითში“ და „უარყოფითში“, რომელი „ათვლის შკალიდან“, რომელი პოზიციიდან უნდა იყოს დანახული მათი ძირითადი ნიშნები, და როგორი დიდი სურვილიც არ უნდა გვქონდეს — შემოვიფარგლოთ საქართველოთი და ქართველი ხალხის ინტერესებით, ეს გამართლებული არ იქნება იმ უტყუარი ფაქტის გამო, რომ სტალინი იყო და დარჩ რუსეთისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დიდ მოღვაწედ და ამას ვერ შესცვლის მისი ხასიათის ქართველისათვის სასიამოვნო გამოვლენები, რომლებიც პატრიოტული გრძნობით იყო ნაკარნახევი და პერიოდულად იღვიძებდა მასში.

დაუნწყარი უნდა ყოფილიყო მღელვები ერეშში, რომლებიც სტალინს გაუსარია ქართული კულტურის მოსკოვში ჩატარებული დეკადის მონაწილეებს; დაუნწყარი არა მხოლოდ დეკადის უშუალო მონაწილეებისათვის, — მთელი ქართველი ხალხისა და ინტელიგენციისათვის. აქ შეხდნენ ალტაცებთ დეკადის მონაწილეები სტალინის მიერ სასიამოვნო ტენორით შესრულებულ ქართულ სიმღერას „ბაფრინდი, შავო მერცხალო“. ამის შემდეგ გახდა პოპულარული ქართული სიმღერები მოსკოვსა და ლენინგრადში.

ამ წლებში საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდა შოთა რუსთაველის 700 წლის საუბილეო თარიღის ზეიმი, რომლის შემდეგაც ქართული პოეზიის გენიალური ძეგლი ცნობილი გახდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის, არამედ მსოფლიოშიც.

მუხედავად ამ, და მრავალი სხვა მგავსი ფაქტებისა, სტალინის უბრალესი და უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან, როგორც დიდ ბრიტანეთის ენციკლოპედიური ლექსიკონი აღნიშნავს, რუსეთი ხის გუთნით შეიარაღებული „ჩიბარა“ და დატოვა ინდუსტრიის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი.

მან განახორციელა უკანასკნელი საუკუნეების რუსეთის მეფეების მიზნები და მიაღწია ყველაზე უფრო დიდ შედეგებს; ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში შექმნა ახალი საბჭოთა ტიპის იმპერია, და ყველაზე შორს, ევროპის სიღრმეში გაიტანა მისი საზღვრები.

ათეული წლების მანძილზე ანხორციელებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ისეთი წარმატებით, რომ გამარჯვებული გამოვიდა უდიდესი და უსასტიკესი მსოფლიო ომიდან.

მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა მილიონი და ათეული მილიონების სისხლის ხარჯზე.

სტალინის განცხადება პარტიის XVI ყრილობაზე (19300 წ.), რომ „ჩვენ ჩამოვრჩით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელი საუკუნით, და თუ 10 წლის განმავლობაში არ დავეარეთ ეს ჩამორჩენა, აღიგებით დედამიწის პირისგან — უდიდესი პოლიტიკური სიბრძნის დამდასტურებელი იყო და ზუსტად 10 წლის შემდეგ (1939—1941 წ. წ.) წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მაგრამ უდიდეს სიკალხეს წარმოადგენდა იმავე ყრილობაზე თქმული — ჩვენ სსრკ-ში „უკვე შვედით სოციალიზმის პერიოდში“; და უდიდეს სისასტიკეს გამოხატავდა სრული გულგრილობით და სიშმაგით წარმოთქმული — „თქვენ შეგიძლიათ დაპატიმროთ და გადასახლოთ ათეული და ასეული ათასობით კულაკი, მაგრამ თუ თქვენ არაფერს გააკეთებთ აუცილებელს იმისათვის, რომ აღმარითთ მეურნეობის ახალი ფორმებისათვის,.. კულაკობა მაინც აღორძინდება და დაიწყებს ზრდას“.

გაუგებარი და მართლაც განსაცვიფრებელი ისაა, რომ სტალინის დღევანდელი ამოლოგეტის, „უდრეკი სტალინელის“ გული ანაც, რომ იტყვიან — „არ შტიკებულა“, თუნდაც ოდნავ! მისი პოლიტიკური პოზიცია იმდენად შორსაა ეთიკისა და პოლიტიკის შეერთების თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მოთხოვნილებისაგან, რომ სტალინურ რეპრესიებშიც და 1937 წლის შეჩხარავ ფაქტებშიც ის მხოლოდ „აუცილებლობით ნაკარნახევ“ და... დღევანდელობის სასურველ მოვლენას ხედავს.

უფრო მეტიც, ის რაც დღევანდელ კაცობრიობის მიწინავე ნაწილში აღიარებულია „უდიდეს ბოროტმოქმედად ადამიანისა და ადამიანობის წინაშე“, დღევანდლამდე შემორჩენილ „უდრეკ სტალინელს“ დიდ მიღწევად მაჩნია და თუ დღეს მთ „აღდგენაზე“ არავინ ზრუნავს, — ეს ეთიკური და ადამიანური მოსაზრებებით კი არაა გამოწვეული, იმის გამო ხდება, რომ მათი აღდგენისა და „ბატარების თავი არავის აქვს“.

აი, დღესაც ხომ არიან „დიკტატორები, ტერორისტები, საზოგადოებრივი ცხოვრების ამაკვრეები; მაშინაც ასე იყო და ქვეყანას მოვლა და დალგება სჭირდებოდა. რკინის კაცი იყო და რკინის ხელითაც დალგა ყველაფერი, გარა დღეს თვითონ ხალხი არ ითხოვს რკინის ხელს და რეპრესიებს?“.

კითხულობ ამ სტრიქონებს და გაოცების გრძნობას ვერ იცილებ. მაინც იფიქრებს მკითხველში რაღაც „შეღავთის“ გრძნობა, სურვილი — რამენირად ახსნა და გამართლო ეს ყველგანაა ცნობილია, რომ მისი მოღვაწეობის არე უკვე რეგოლუციამდე (ბაკურიანი, საქართველოს ფარგლებს. და რეგოლუციის დასაწყისშივე გამოვლინდა მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართულება და ძალა. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში რუსეთის ვარის შემოსვლა და დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია 1921 წელს, არ მოუნდარა სტალინს „დახმარების“ გარეშე. გვიან, მაგრამ მაინც გახდა ცნობილი, რომ ორჯონიკიძემ სრული თანხმობა მიიღო სტალინისგან ამ პოლიტიკურ აქტზე (1921 წლის 15 თებერვალს); და არც ის იყო შემთხვევითი, რომ დეპეშაში ეს თანხმობა ქართული სიტყვებით იყო გამოთქმული: „ეხლავე შეუტიე და აიღე ქალაქი, დასტური არის“.

ასე დაიწყო და ამგვარადვე გაგრძელდა სტალინის დამოკიდებულება საქართველოსადმი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე: 1924 წლის საყოველთაო ეროვნული აჯანყება საქართველოში სტალინისათვის იყო „ბანდიტური გამოსვლები“ და „კონტრრევოლუციური აჯანყება“, რომელიც „მოაწყეს ქართველმა მენშევიკებმა და ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა II ინტერნაციონალი ლიდერების და უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტების ხელშეწყობით“ (იხხ., 6, 1949, გვ. გვ. 353, 471).

ასე იყო ქართველი გლეხობის მასობრივი დარბევის დროს 1929 წლის „ბოლიანი კოლექტივიზაციის“ პირობებში. ასეთივე დაუნდობლობით ისპობოდა ძველი ქართული ეკლესიები, შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები; ასეთივე გაუტეხებით ნადგურდებოდა და ისპობოდა ქართველი ხალხი 1937 წელს და ომის პირობებში, როდესაც სტალინს საქართველოსათვის საერთოდ აღარ ეცალა. და შეიძლება ბევრმა არც დავიროს, რომ ხშირად ეს „ლენისძეებში“ საქართველოში უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, ვიდრე სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში.

და ბოლოს, რამოდენიმე სიტყვა ბ-ნ ონიანის კამათის თეორიულ დონეზე და წესზე. სტალინის საზოგადოების თავმჯდომარე სთვლის, რომ საკამათო საკითხების გადაწყვეტად საკმაოთ საკმარისია ამგვარი პასუხები: „თვალებს შუა რომ ცხვირი არ იყოს, ისინი ერთმანეთს დაკარმავებდნენ“; ანდა: „ნუ-თუ დიდი სტალინიდან ერთი პატარა მეტყველი არ გამოვა, რომ ქართული მიწის ღირსი იყოსო?“, ანდა, დიდად მნიშვნელოვანი „აღმოჩენა“, რომ გამოთქმა „ხალხის მტერი“ სტალინის „მეგობალი“ არ ყოფილა და ვერ კიდევ იკუბინელებს უხმრიათ საკრანგეთში.

და, თუ ბოლომდე გავყეთ კამათის ამ წესს, უყურადღებოდ არც ის უნდა დავტოვოთ, რომ გრ. ონიანი მოსწავლეობის წლებში (მაშინ „სტალინზე საუკეთესო ლექსები იწერებოდა“!) „აღიარებული დეკლამატორი“ ყოფილა, ხშირად უწევდა „სცენიდან ლექსების კითხვა“ და, რაც მთავარია, ლექსის ერთი ადგილი — „ფოლადო გაუტეხელო, კაცო მართალო ყელამდი“ — იმდენად ღრმად ჩარჩენია გულში, რომ თავის აღტაცებას დღესაც იმავე შორისდებულით გამოხატავს: „როგორია!“. მართლაცდა „როგორია“ მკითხველო ჩვენი დამაქცევარის ამგვარი აპოლოგია ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთის ფურცლებიდან?

6. 1. 1994 წ.

უცხოეთი საქართველოს შესახებ

რადიო «თავისუფლება» იუწყება

“ბუკვარს“ ფულის სუნი უდის

მოსკოვში სამთავრობო დონეზე მუშავდება გეგმა, რომლის მიზანია დაეხმაროს უახლოეს საზღვარგარეთში ეთნიკური რუსების ან რუსულად მოლაპარაკე პირების მიერ შექმნილ ფირმებს. ამ პროგრამის დამუშავებაში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები. რუსეთის მაღალი რანგის ინკოგნიტომ განაცხადა, რომ უახლოეს საზღვარგარეთში რუსულად მოლაპარაკე კომპანიებს მიეცემათ საბაჟო პრივილეგიები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მოსკოვში ვარაუდობენ, რომ ეს კომპანიები შუამავლის ფუნქციებს შეასრულებენ უახლოესი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობისას. პროგრამას საბოლოო განხილვის შემდეგ წარუდგენენ პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტსა და პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ ეს გეგმა განხორციელდა, საინტერესოა, რამდენი ჩვენი „აჩი“ და „ბაჩი“ აუფლის გვერდს ამ ცდუნებას და არ ალაპარაკდება რუსულად.

* * *

რადიო „თავისუფლებამ“ გადასცა ინტერვიუ, სოხუმში დაბადებულ და გაზრდილ, ამჟამად კი გერმანიაში მცხოვრებ იურისტთან ალექსანდრე ბრაიტთან. ამ საუბრის საკვანძო მომენტი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივებს შეეხო. ბ-ნ ალექსანდრეს თქმით, ფირმა „სიმანსი“, რომელიც ჩვენს ქვეყანასთან მრავალწლიანი თანამშრომლობის ტრადიციებითაა დაკავშირებული, მზად არის მოახდინოს თანხების ინვესტირება საქართველოში, ენერგეტიკის განვითარების მიზნით. ჩანს, დასავლეთელი პარტნიორებისათვის მეტად ხელსაყრელია ის ფაქტი, რომ საქართველო მე-4 ადგილზეა მსოფლიოში ჰიდროპოტენციალის მაჩვენებლით. თბილისში ამ საქმით კერძო ფირმები არ დაინტერესდნენ. საჭიროა საკითხის სამთავრობო დონეზე მოგვარება. მაგრამ ბ-ნი ალექსანდრეს თქმით, პრობლემა არ გადაიჭრება, სანამ სახელმწიფოს სათავეშია კომუნისტურ-ბიუროკრატიული ტრადიციებით აღჭურვილი მთავრობა. დასავლეთი ცდება, როცა ვარაუდობს, რომ ამ რესპუბლიკაში დემოკრატიას მხოლოდ საზღვარგარეთული ინვესტაციებით გადაარჩენს. სინამდვილეში ეს თანხები მოხვდება ხავმსოკიდებული კომუნისტური აპარატის ხელში, რომელსაც არაერთი და ორი ბიუროკრატი მომხვეჭელი მართავს. ასე რომ, დღეს ნაადრევია საუბარი ქართულ-გერმანული ენერგეტიკული პერსპექტივების შესახებ. ამ გეგმის განხორციელება საქართველოში სერიოზულ პოლიტიკურ ძვრებს მოითხოვს.

მოგვაწოდა

ბივი ყურაშვილმა.

მთავრობამ თითიც კი არ გაანძრია კუპონის გამყარებისთვის

მეექვსე გვერდიდან

ნის ამბავიც შემოგვიგდო, დაიწყო ლაპარაკი კუპონის გამყარებაზე, თანაც არა იმ მეთოდებით, რომლებიც ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული, არამედ ადმინისტრირების, კონტროლის, შეზღუდვების, სანქციების და ამგვარი კომუნისტურ-მბრძანებლური ხერხებით, რაც სასიკეთო შედეგს კი არა, პირიქით, უკუშედეგს მოიტანს.

ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ ცხადად წარმოჩინდა რესპუბლიკის პრემიერის ამასწინანდელ საპარლამენტო გამოსვლაშიც, რომელშიც კუპონის გამყარებისა და კრიზისიდან გამოსვლისათვის, არც მეტი და არც ნაკლები, შემოგვთავაზეს სწორედაც რომ გეგმიური ეკონომიკა და მეტიც: ჩვენი დამოუკიდებლობა და კუპონის შემოღებაც ნაჩქარევ ნაბიჯადაც ჩათვალეს. თუმცა საინტერესო კია, როგორ მოახერხებენ ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, ანუ საქართველოში, გეგმიური ეკონომიკის მქონე, ანუ სოციალისტური ყაიდის სახელმწიფოს აშენებას ჩვენი მთავრობის მესვეურნი, როცა თვით რუსეთშიც კი, რომელთანაც გაერთიანებაში ხედავენ ხსნის მხოლოდ ერთადერთ გზას ჩვენი სამთავრობო დონის რეტროგრადი-ჩინოვნიკები, ეკონომიკური რეფორმები, ისე ჩანს, შეუქცევად ხასიათს იღებს და თუ არა მისი სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილება (რაც უთუოდ ჩვენთვის საზიანო იქნება), ისე რუსეთი არაფერს მოგვცემს და ბოლოსდაბოლოს, თვითონაც არაფერი აქვს გასაცემი და არც თვითონაა დალხინებული. აბა, გადახედეთ თვით რუსულ პრესას, უსმინეთ იქაურ რადიოს, თვალი მიადევნეთ ტელევიზიას (ამას განსაკუთრებით იმ მკითხველს ვეუბნები, რომელსაც გულუბრყვილოდ სწამს, რომ რუსეთთან ჩვენი შეერთებით ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარდება და ყველაფერი თავზე საყრელად გვექნება) და ადვილად დარწმუნდებით, რომ ამ ჩვენი დიდი მეზობლის ეკონომიკაც არაა კარგ დღეში, რომ მისი საწარმოების 40 პროცენტამდე გაჩერებულია და ისეთი დიდი გიგანტები, როგორიცაა ავტოვაზი, კიროვის ქარხანა, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოები და სხვები უკვე კარგა ხანია უქმად დგანან და მუშებს აგვისტოს თვიდან ხელფასებიც კი არა აქვთ მიღებული.

ხოლო იმათ კი, ვისაც სამანეთო ზონა და ჩვენში რუსული მანეთის შემოსვლა მიაჩნიათ ერთადერთ ხსნად ჩვენი გაუფასურებული კუპონისაგან, მინდა შევახსენო ამ ორი წლის წინანდელი ფულადი მასის კრიზისი, ჩვენში როცა ჩვენს ბანკებში რუსული ფული აღარ იყო, რუსეთმა კი არ მოგვცა და გახსოვთ, ალბათ, როგორ დავრჩით მაშინ ბევრნი უხელფასოდ და გამწარებულნი. ასე მოხდება მაშინაც, თუ სამანეთო ზონაში ვდურთავთ თავს და რუსულ რუბლს შემოვიტანთ მიმოქცევაში, — რუსეთს, თუ რაღაც არ მოეწონება, ადვილად შეუძლია არ მოგვცეს თავისი ფული და რამდენ ხანსაც მას დასჭირდება, იმდენ ხანს გვაწუწუნოს. ესეც რომ არ იყოს, როცა სხვა სახელმწიფოს ფული გექნება მიმოქცევაში, როცა სხვა სახელმწიფო შეგიდგენს ბიუჯეტს, მაშინ რაღა დამოუკიდებელი ვიქნებით? გარდა ამისა, ახლა, ჩვენი ხელოვნურად გაუბედურებული კუპონის ფონზე გვიჩანს რუბლი მყარ ვალუტად, თორემ იგი არც ისე მყარია და საკუთარ სამშობლოში თითქმის კუპონის დონეზეა. ამასთან, ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თვით რუსეთის მთავრობასაც არ აძლევს ხელს ყოფილ რესპუბლიკებში მისი ფულის მიმოქცევაში გაშვება, რადგანაც ეს [illegible] თვით რუსეთში არნახული ინფლაციას და მისი ფულის გაუფასურებას. ეს ჩემი, არაეკონომისტის, მოსაზრებები გახლავთ და ბუნებრივია, პროფესიონალები ამაზე უკეთ ისაუბრებენ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ რუსეთი უჩანთ ჩვენს უებარ წამლად, რომ თუ საკუთარ თავს და ქვეყანას ჩვენ თვითონ არ მივხედეთ და სხვის მოიმედობას და ხელში ყურებას არ შევეშვით, არც რუსეთი გვიშველის, არც თურქეთი და არც სხვა რომელიმე ქვეყანა.

ყველაფერს კი ეშველება მაშინ, როცა ქვეყნის სათავეში იქნება ეროვნულ პოზიციებზე მტკიცედ მდგომი მთავრობა, რომელსაც „წარსული გამოცდილებების" ტვირთი არ ექნება ზურგზე აკიდებული და მაღალი დონის პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული.

სერგო ჯანაშია

აუცილებელია მრავალმხრივი და კომპეტენტური დასკვნები

მიხეილ მახარაძე

ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ საქართველოში თავისუფალ ეკონომიკური ზონების შექმნაზე. არჩევანს ძირითადად ბათუმზე აკეთებენ, იშვიათად ფიგურირებს ქალაქი ფოთიც. რატომღაც ეს საკითხი ვიწრო პოლიტიკურ წრეებში ტრიალებს და მის ავკარგიანობაზე სდუმან სპეციალისტები. არადა ასეთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტა მრავალმხრივი და კომპეტენტური დასკვნების გარეშე, დაუშვებელია. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირები თავიანთ ზეპირ გამოსვლებში ამ იდეას მხარს უჭერენ კიდეც.

სულ ახლახან, ამასთან დაკავშირებით ბათუმში სტუმრად ჩავიდნენ ინგლისელი სპეციალისტები, ჩვენი ცნობით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შესაბამისი კომისიის გვერდის ავლით იხილება. არავისთვის არ უნდა იყოს სადავო, რომ თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში საჭირო გახდება თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, ეს უნდა მოხდეს პარლამენტის შესაბამისი კომისიის, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სპეციალისტების მიერ შემუშავებული ერთობლივი პროგრამის საფუძველზე. ბუნებრივია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებას.

ისტორიასაც თუ გავიხსენებთ, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ყოველგვარი თავისუფალი ზონების შექმნა გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა ჩვენ ხალხში, თუნდაც ბათუმის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და საქართველოსათვის მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის 1920 წლის დადგენილება ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. როგორც მაშინდელი, ისე ახლანდელი სიტუაციები გარკვეულად წააგავს ერთმანეთს, რაშიც მკითხველი იმდროინდელი დოკუმენტების გაცნობისას დარწმუნდება.

საფრანგეთის სამხედრო მისია კავკასიაში.

თბილისი, მარტის 16, 1920 წელს

თანახმად უმაღლესი საბჭოს თებერვლის 24 დადგენილებისა ბათუმის პორტი გამოცხადებულია თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარემო მცირე ზონა შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობაში და დაჭერილი იქნება ინტერნაციონალურ რაზმით, რომელიც შესდგება სამი ბატალიონისაგან: ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისა. საფრანგეთისა სამხედრო მისიის უფროსი კავკასიაში დე-ნონან-კური.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", 1920 წ. № 319.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის დადგენილება ბათუმის შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა 1 მარტს 1920 წ. მოისმინა ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქი ბათუმი გამოცხადებულ იქნა პორტო-ფრანკოდ, განიხილა რა ეს განცხადება ყოველმხრივ და მიიღო მხედველობაში, რომ:

1. ბათუმის გამოცხადება პორტო-ფრანკოდ დასცემს ალებ-მიცემობას საქართველოში, რომლის ეკონომიკური ცენტრი გადავა ბათუმში, სადაც ბატონ-პატრონობა იქნება უცხოელთა ხელში.

2. ბათუმი იყო და არის ეკონომიური ცენტრი საქართველოსი, რომლის მოსახლეობას ეკარგება უფლება და საშუალება თავისუფალი სარგებლობისა საკუთრივ ქალაქით.

3. თანახმად მოკავშირეთა მიერ აღიარებულ კეთილშობილ პრინციპებისა შესახებ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა. ამიტომ ბათუმის ჩამოჭრა უდრის ანტანტის მიერ თავისივე პრინციპების გაბათილებას.

4. 1893 წლის ხელშეკრულების ძალით საქართველოს უნდა დაბრუნებოდა ის ადგილები, რომელსაც რუსეთი დაიპყრობდა და რომელნიც ოდესმე საქართველოს ეკუთვნოდენ. ამიტომ ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრე რუსეთის ბათუმში მხოლოდ საქართველო უნდა ჩაითვალოს.

5. ყოვლად შეუძლებელია, რომ უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-პორტი ბათუმი გადავიდეს უცხოელთა ხელში, რადგან აქედან საქართველოში მომავალი კარები და ზღვები მუდამ გახსნილი იქნება.

დაადგინა:

1. გამოცხადდეს პალატის მტკიცე პროტესტი ამ უაღრეს უსამართლობის გამო;

2. გაეგზავნოს ეს პროტესტი ევროპისა და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და

3. ეს დადგენილება გაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, რომელიც პალატის ღრმა რწმენით მოიხმარს და გამოიყენებს ყოველგვარ ზომა-საშუალებას ამ უსამართლო დადგენილების გასაუქმებლად და ბათუმის დასაბრუნებლად.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", 1920 წ. № 331.

რედაქციისაგან: ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შესაბამის კომისიას, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს მოგვაწოდონ თავიანთი აზრი თავისუფალ ეკონომიკური ზონის ავკარგიანობაზე.

განცხადება

25 თებერვალს, პარასკევს, 12 საათზე ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის გაფართოებული სხდომა. სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილება

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ხათუნა კვესელავა
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 5000 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ: 93—83—07, 29—49—60